

# საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება დანაშაულისადმი, სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკისადმი



სოციოლოგიურ კვლევაზე დაფუძნებით  
მომზადებული ანგარიში



კვლევა შეკვეთილია Penal Reform International–ის  
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის მიერ

პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ

მეთოდოლოგიის და კითხვარის ავტორები:  
აივი პროოსი  
აირის პეტაი

ინტერვიუება ჩაატარა:  
საქართველოს სოციალური კვლევებისა და  
ანალიზის ინსტიტუტმა



ანგარიშის ავტორები:  
აივი პროოსი  
აირის პეტაი

*"წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის  
მხარდაჭერით. მოცემული გამოცემის შინაარსზე  
ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ეკისრებათ PRI–ს  
და EIOSR–ს და იგი არ გამოხატავს ევროკავშირის  
თვალსაზრისს".*

## სარჩევი

შესავალი.....	3
1. კვლევის ორგანიზება და საკვლევი ნიმუშის ფორმირება.....	8
2. დანაშაულისადმი დამოკიდებულება.....	10
3. სასჯელის შეფარდების პოლიტიკისადმი დამოკიდებულება.....	12
3.1. სასჯელთა შეფარდების პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	17
3.2. ალტერნატიული სასჯელები, რომლებსაც მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს.....	20
3.3. სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის ლიბერალიზაცია.....	22
3.4. პატიმრების რაოდენობასთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	25
4. საპრობილემებში არსებული ვითარებისადმი დამოკიდებულება.....	27
4.1. ინფორმაციის ნაკლებობა.....	28
4.2. პატიმრების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	34
4.3. ციხეებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	38
4.4. პატიმართა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	42
4.5. ინფორმაციის სანდოობა.....	46
5. მართლმსაჯულების პროცესთან დაკავშირებული მოსაზრებები.....	48
6. თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე დამოუკიდებელი ზედამხედველობა.....	52
7. მოსაზრებები საზოგადოების უსაფრთხოების თაობაზე.....	55
8. ინსტიტუტების სანდოობა.....	57

I დანართი: კითხვარი ქართულ ენაზე

II დანართი: შეფასებები სქესის მიხედვით

III დანართი: შეფასებები ასაკის მიხედვით

IV დანართი: შეფასებები ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით

## შესავალი

წინამდებარე შეფასება 2009 წლის ივლისში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვისა და კვლევის საფუძველზე მომზადდა. კვლევისა და კითხვარის მეთოდოლოგია ესტონეთის ღია საზოგადოების კვლევის ინსტიტუტის (EIOSR) მიერ შემუშავდა. კვლევა საქართველოს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა.

კვლევა შემდეგ მიზნებს ისახავდა:

- სანდო და ობიექტური ინფორმაციის მოძიება საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე დანაშაულისა და სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკის მიმართ;
- მოსახლეობის უსაფრთხოების განცდისა და იმ ძირითადი სფეროების დადგენა, რომელთააღაც დაკავშირებით მოსახლეობაში დაუცველობის შეგრძნება არსებობს;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის დადგენა სახელმწიფოს სასჯელაღსრულების პოლიტიკისა და სასჯელის შეფარდების პრინციპების თაობაზე;
- ანალიზი იმისა, თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკა საზოგადოების მიერ სამართლიანობის აღქმას, ანუ იმის გამოვლენა, ღახავს თუ არა ეს სისტემა ადამიანთა სამართლიანობის გრძნობას;
- მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენა სასჯელის ალტერნატიული ფორმებისადმი და მისი მოლოდინის ანალიზი სასჯელის ალტერნატიული ფორმების დანერგვისადმი.
- მოსახლეობის დამოკიდებულების გაანალიზება მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლებისადმი.

წინამდებარე კვლევა ემსახურება დანაშაულობის მიმართ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების გამოვლენას, რაც ზოგადად მოსახლეობაში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის დადგენის საშუალებას იძლევა. რთულია არსებული დანაშაულის დონის ზუსტად დადგენა, რადგანაც აღრიცხული დანაშაულის თაობაზე სტატისტიკა ზუსტად არ ასახავს დანაშაულობის თვალსაზრისით რეალურად არსებულ მდგომარეობას, ხოლო აღურიცხავი დანაშაულის წილის თაობაზე შეიძლება მხოლოდ სავარაუდო შეფასება გაკეთდეს. საზოგადოების მოსაზრება დანაშაულობის თაობაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ზოგადად დანაშაულის აღქმაზე და საზოგადოების დაცულობის განცდაზე.

მოცემულ ანგარიშში დეტალურადაა განხილული საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოში არსებული სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკისადმი. ჩვენ შევისწავლეთ, თუ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება არსებული პოლიტიკისადმი და ვეცადეთ გამოგვევლინა მოსახლეობის აზრით იგი მკაცრია თუ ლიბერალური. ასევე ვეცადეთ გაგვეჩვენა თუ რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა აღნიშნული პოლიტიკის თაობაზე და სასჯელის სხვადასხვა ზომების შესახებ. გარდა ამისა კვლევის ფარგლებში გაგვანალიზეთ თუ რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას სხვადასხვა დანაშაულის მიმართ და შევეცადეთ დაგვეჩვენა შესაბამისი ტოლერანტულობის დონე.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გამოვლენას. გაანალიზებული იქნა მოსახლეობის ინფორმირებულობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის თაობაზე.

მოცემულ ნაწილში მოკლედ წარმოგიდგენთ იმ მნიშვნელოვან ტენდენციებს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და მიდგომებში გამოვლინდა ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად:

- საქართველოს მოსახლეობა ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები დანაშაულის თვალსაზრისით არსებულ ვითარებას. რესპოდენტების ნახევარზე მეტს, ანუ 54%-ს მიაჩნია, რომ დანაშაულის დონე საქართველოში დაბალია, ხოლო მოსახლეობის 40%-ს ამასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს და მიაჩნია, რომ დანაშაულის დონე მაღალია. ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ვერ ჩაითვლება პოზიტიურად, თუ ყოველი 10 ადამიანიდან დაახლოებით 2-3 ადამიანს მიაჩნია, რომ დანაშაულის დონე მაღალია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობას არ გააჩნია დაცულობის განცდა.
- რესპოდენტების აზრით კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა. გამოკითხულთა უმეტესობას, ანუ 64%-ს მიაჩნია, რომ ამჟამად საქართველოში დანაშაულის დონე უფრო მაღალია, ვიდრე 5 წლის წინ იყო. საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით მდგომარეობა უარესდება, თუ ადამიანებს იმის შეგრძნება აქვთ, რომ კრიმინოგენური ვითარება გაუარესებულია.
- ადამიანები აღნიშავენ, რომ ადგილი აქვს დანაშაულის ზრდას, მაგრამ იმავედროულად პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებებისადმი. რესპოდენტთა 69%-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებები წარმატებულია.
- ყველა ქვეყანა და საზოგადოება თავად იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ სასჯელის შეფარდების როგორი პოლიტიკის გატარება მიაჩნია მიზანშეწონილად - უფრო მკაცრი თუ უფრო შემწყნარებლური. კანონმდებლის გადაწყვეტილებები სასჯელთა პოლიტიკის შემუშავების პროცესში დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე და ასევე პოლიტიკურ რიტორიკაზე და მოსახლეობის მოლოდინზე. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტის აზრით (რესპოდენტების 54%) სასჯელების გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკა ძალიან მკაცრია და მსჯავრდებულთა რაოდენობა ძალიან მაღალია. იმავედროულად მოსახლეობის ერთი მესამედი (32%) მხარს უჭერს ყველა დანაშაულის მკაცრ კონტროლს და მიაჩნიათ, რომ ეს ხელს შეუწყობს დანაშაულის დონის შემცირებას და უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნას.
- სასჯელთა გამოყენების პოლიტიკის შეფასების პროცესში იგივე ტენდენცია გამოიკვეთა, როგორც დანაშაულის დონის აღქმის პროცესში. ადამიანთა პოზიცია და იდეები სასჯელების გამოყენების პოლიტიკის თაობაზე უაღრესად განსხვავებულია და ფაქტიურად ურთიერთსაწინააღმდეგოა. როდესაც საქართველოში არსებულ ვითარებას სოციოლოგის თვალთ უყურებ, ერთსა და იმავე ქვეყანაში ორი საზოგადოება იკვეთება, ანუ ადამიანთა ორი ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვანაირად ხედავენ, ფიქრობენ და აღიქვამენ ამ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას.

- აღამიანთა ინფორმირებულობა ქვეყანაში სასჯელთა შეფარდების თაობაზე არ არის დამაკმაყოფილებელი. საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 86% აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული სასჯელების თაობაზე. რესპოდენტების 58% აცხადებს, რომ მათ არაფერი იციან ამის თაობაზე.
- უმნიშვნელო სამართალდარღვევების შემთხვევაში მოსახლეობა მხარს უჭერს ალტერნატიული სასჯელების შეფარდებას. რესპოდენტების 62%-ს ალტერნატიული სასჯელი მისაღებად მიაჩნია, ხოლო 28%-ის აზრით უმნიშვნელო სამართალდარღვევების შემთხვევაშიც ასეთი დანაშაულის ჩამდენს თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს.
- ალტერნატიულ სასჯელებს შორის ყველაზე პოპულარული თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ჩანაცვლება დასახელდა და ამ მიდგომას რესპოდენტების 88%-მა დაუჭირა მხარი. სავარაუდოდ, ამ ალტერნატიული სასჯელის პოპულარობას საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე განაპირობებს. კვლევის შესაბამისად, ანუ 2009 წლის მდგომარეობით ყველა გამოკითხული რესპოდენტების 43% თავის თავს უმუშევრად მიიჩნევდა. უმუშევრობის დონე უფრო მაღალია მამაკაცებში (50%) ვიდრე ქალებში (37%).
- გამოკითხულების მიერ სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის ყველაზე დასაგმობად შერაცხვამ საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა. კერძოდ, მათი აზრით ყველაზე მკაცრად დასასჯელ დანაშაულს გაუპატიურება მიეკუთვნება. რესპოდენტების 46%-მა განაცხადა რომ ამ დანაშაულისთვის უვადო პატიმრობა უნდა იყოს მისჯილი. ქართული საზოგადოება ასევე უაღრესად მწვავე მოსაზრებებით გამოდიოდა ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორცაა ტრეფიკინგი და ნარკოტიკების რეალიზაცია. რესპოდენტების 44%-ის აზრით ნარკოტიკების რეალიზაციისთვის უვადო პატიმრობა უნდა იყოს მისჯილი. აღსანიშნავია, რომ ეს ორი დანაშაული უფრო მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული, ვიდრე მკვლელობა ან სხულის განზრახ მძიმე დაზიანება. სასჯელთა შეფარდების პოლიტიკის მიმართ ასეთი დამოკიდებულება საქართველოს კულტურული სივრცის თავისებურებებზე მეტყველებს.
- საქართველოს საზოგადოებისთვის მისაღებია და გასაგებია საავტომობილო ტრანსპორტთან დაკავშირებული სამართალდარღვევები. მოსახლეობის 55%-ის აზრით ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისთვის პირობითი სასჯელი უნდა იყოს მისჯილი. 38%-ის აზრით აღამიანებს, რომელთა მიხედვითაც ავტოსაგზაო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ასევე პირობითი სასჯელი უნდა შეეფარდოს.
- საქართველოს მოსახლეობა არ არის კარგად ინფორმირებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე. 47%-მა განაცხადა, რომ მათ „არაფერი იციან“ საქართველოს საპრობილევებში არსებული ვითარების თაობაზე, ხოლო 48%-მა განაცხადა „არაფერი არ იციან“ წინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებული ვითარების თაობაზე. მამაკაცებთან შედარებით ქალები კიდევ

უფრო ნაკლებად ინფორმირებულები არიან მოცემულ საკითხებზე.

- იმავდროულად კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის აზრით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ვითარება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. რესპოდენტების 83%-ის შესაბამისად ციხეებში არსებული ვითარება მათთვის მნიშვნელოვანია. ეს საკითხი ქართულ მედიაში არსებულ პრობლემაზე მიუთითებს, რადგანაც მოსახლეობა უფრო მეტ ინფორმაციას და ანალიზს მოელის პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე.
- მოსახლეობის აზრით საპრობილემებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებზე დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია. კვლევამ გამოავლინა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მონიტორინგის დაწესება უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია მონიტორინგი ჩატარდეს ომბუდსმენის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების მიერ.
- საზოგადოების მზადყოფნა მოცემული სოციალური ჯგუფების მსჯავრდებისას ინდივიდუალური მიდგომის დანერგვის მიმართ უაღრესად მაღალია. ანალიზის შედეგად გამოვლინდა ზოგადი ტენდენცია, რომ რესპოდენტების ტოლერანტულობა იმ სოციალური ჯგუფებისადმი, რომლებიც ტრადიციულად დაუცველ ან უმწეო სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან (მაგ. დედები, ქალები და მოზარდები) საკმაოდ მაღალია.
- კვლევამ გამოავლინა, რომ „ამნისტიის” გზით პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლება საზოგადოებისთვის მათი სასჯელის სრულად მოხდისგან გათავისუფლების ყველაზე გასაგები ფორმაა. რესპოდენტების 55%-მა პირველ რიგში ეს მექანიზმი დაასახელა. 29%-მა შეწყალება დაასახელა როგორც პირველი არჩევანი, ხოლო 16%-მა ვადაზე ადრე გათავისუფლება პრობაციის ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ დაასახელა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი.
- საქართველოს მოსახლეობის ორმა მესამედმა (69%) განაცხადა, რომ 20,000 პატიმარი საქართველოსთვის ძალიან ბევრია. რესპოდენტების მოსაზრებები პატიმართა რაოდენობასთან დაკავშირებით საკმაოდ ერთსულოვანი იყო. გამოკითხულთა პოზიციის საერთო შეფასების დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ მათი უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ქართული საზოგადოება უაღრესად მიდრეკილია სადამსჯელო ზომების გამოყენების მხარდაჭერისადმი” იმის გათვალისწინებით, რომ პატიმართა რაოდენობა ძალიან მაღალია და რესპოდენტთა აზრით ეს მონაცემი საქართველოსნაირი ქვეყნისთვის საკმაოდ დიდია.
- კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის და ინფორმირებულობის დონის გამოვლენა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე. სასჯელალსრულების დაწესებულებებისა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა და გაანალიზებისთვის ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლების აზრი თავად

იმ ადამიანების აზრს შევადარეთ, რომლებსაც ციხეში ყოფნის გამოცდილება გააჩნდათ. ამ უკანასკნელთა მოსაზრებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებისადმი ბევრად უფრო კრიტიკული იყო, ვიდრე იმ რესპოდენტებისა, რომლებსაც არ ჰქონიათ შეხება პენიტენციურ სისტემასთან. რესპოდენტების 43%-მა, რომლებსაც ახლახანს ჰქონდა შეხება პენიტენციურ სისტემასთან (ანუ ბოლო 4 წლის განმავლობაში იყვნენ ციხეში) აცხადებენ, რომ პატიმრებს „სასტიკად“ ეპყრობიან და მხოლოდ 10%-მა აღნიშნა, რომ პატიმრებისადმი დამოკიდებულება „კორექტულია“.

- კვლევამ გამოავლინა ზოგადი ტენდენცია იმის თაობაზე, რომ მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ციხეებში არსებული ვითარებისა და პატიმრებისადმი დამოკიდებულების თაობაზე. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია გაანალიზებული იყოს ინფორმაციის წყაროების სანდოობა, ანუ ინფორმაციის რა საშუალებები აწვდიან მოსახლეობას ციხეების თაობაზე ინფორმაციას და რამდენად ენდობა მოსახლეობა ამ საინფორმაციო საშუალებებს. კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში „არაფორმალური საინფორმაციო არხები“ დომინირებენ, ანუ მოსახლეობა სრულიად ენდობა მეგობრებისგან, ნაცნობებისგან და ოჯახის წევრებისგან მიღებულ ინფორმაციას, ხოლო ოფიციალური წყაროებიდან, პირველ რიგში მასმედიისგან, მიღებული ინფორმაცია არ იწვევს ნდობას.
- კვლევის შესაბამისად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია. კერძოდ, რაიონების მოსახლეობა ბევრად უფრო ენდობა საინფორმაციო საშუალებებს, ვიდრე ქალაქების მოსახლეობა. იმავდროულად, საინფორმაციო საშუალებები ერთი და იგივეა როგორც ქალაქების, ასევე სოფლების მოსახლეობისთვის და ზოგადად ტელევიზია უფრო სანდო საინფორმაციო წყაროდ არის მიჩნეული, ვიდრე რადიო.
- ასევე შეფასებული იქნა სხვადასხვა ინსტიტუტის სანდოობა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ზოგადად საზოგადოებაზე და ამ საზოგადოებაში ადამიანების ცხოვრებაზე. რესპოდენტებმა სულ 16 ასეთი ინსტიტუტის სანდოობა შეაფასეს. საქართველოში ეკლესია არის ის ინსტიტუტი, რომელიც უდაოდ ყველაზე მეტ ნდობას იწვევს საზოგადოებაში. ანუ, უფრო სატოვნად რომ ვთქვათ, ეკლესიას მონოპოლია აქვს ნდობაზე, რადგანაც პრაქტიკულად საქართველოს ყველა მოქალაქე ენდობა ეკლესიას. სოციოლოგიური კვლევის შესაბამისად ეკლესია მოსახლეობის 92%-ის ნდობით სარგებლობს, რაც უკიდურესად იშვიათი ერთსულოვნებაა სოციოლოგიურ კვლევებში.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ რაით ქუსს, PRI-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის დირექტორს, რომლის რჩევებმა და რეკომენდაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კითხვარის შედგენაში.

ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილს, საქართველოს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის დირექტორს, რომლის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები უაღრესად ღირებული იყო საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით.

# 1. კვლევის ორგანიზება და საკვლევი ნიმუშის ფორმირება

საკვლევი ნიმუში მოიცავდა 1,200 რესპოდენტს. გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. კვლევა წარმომადგენლობითი იყო, ანუ ნიმუში დასკვნების მთელ საქართველოზე ექსტრაპოლაციის საშუალებას იძლეოდა. გამოკითხვა ზეპირი ინტერვიუების ფორმით ჩატარდა რესპოდენტების სახლებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს საქართველოს მოსახლეობა წარმოადგენდა (15-74 წლის ასაკობრივი ჯგუფი).

საკვლევი ნიმუშის ბაზა: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

## 15-74 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა

**3 243 181** **74,2%**

სქესი	მოსახლეობა	%
მამრობითი	1 529 586	47,2%
მდედრობითი	1 713 595	52,8%
<b>სულ</b>	<b>3 243 181</b>	<b>100,0%</b>

ასაკი	მოსახლეობა	%
15 – 17	220 773	6,8%
18 – 24	463 843	14,3%
25 – 34	611 803	18,9%
35 – 44	658 925	20,3%
45 – 54	535 006	16,5%
55 – 64	406 704	12,5%
65 – 74	346 127	10,7%
<b>სულ</b>	<b>3 243 181</b>	<b>100,0%</b>

ეროვნება	მოსახლეობა	%
ქართველი	2 717 786	83,8%
აზერბაიჯანელი	210 807	6,5%
სომეხი	184 861	5,7%
რუსი	48 648	1,5%
ოსი	29 189	0,9%
ბერძენი	9 730	0,3%
აფხაზი	3 243	0,1%
სხვა	38 918	1,2%
<b>სულ</b>	<b>3 243 181</b>	<b>100,0%</b>

გეოგრაფიული არეალი	რეგონი	მოსახლეობა	%
აჭარა	აჭარა	<b>376 016</b>	<b>8,7%</b>
დედაქალაქი	დედაქალაქი	<b>1 081 679</b>	<b>25,0%</b>
ცენტრალური	მცხეთა-თიანეთი	<b>125 443</b>	<b>2,9%</b>



საქართველო	შიდა ქართლი	314 039	7,3%
აღმოსავლეთ საქართველო	კახეთი	407 182	9,4%
სამხრეთ საქართველო	ქვემო ქართლი	497 530	11,5%
	სამცხე-ჯავახეთი	207 598	4,8%
დასავლეთ საქართველო	გურია	143 357	3,3%
	იმერეთი	699 666	16,2%
	სამეგრელო და ზემო სვანეთი	466 100	10,8%
ჯამი		4 318 610	100,0%

მოსახლეობა განათლების დონის მიხედვით (მოსახლეობის აღწერის მონაცემების შესაბამისად)

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2002

6+ ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობა, ყოველ 1000 ადამიანზე განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობა:

საწყისი	291	16,2%
საბაზისო	197	11,0%
ზოგადი საშუალო	609	33,9%
პროფტექნიკური	262	14,6%
არასრული უმაღლესი	57	3,2%
უმაღლესი	380	21,2%
სულ	1796	100,0%

## 2. დანაშაულისადმი დამოკიდებულება


დანაშაულის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის, ანუ ფონური მდგომარეობის გამოვლენის პროცესში გამოკვლეული იყო საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის აზრი საზოგადოებაში დანაშაულობის დონის თაობაზე. მოსახლეობის დიდ ნაწილს კარგადა აქვს გაცნობიერებული დანაშაულის თვალსაზრისით არსებული ვითარება და საინტერესოა, რომ ადამიანები მით უფრო ხშირად საუბრობენ დანაშაულის მაღალ დონეზე, რაც უფრო დაუცველად მიიჩნევენ საზოგადოებას ან საკუთარ სოციალურ გარემოს.

**ცხრილი 2.1. გთხოვთ შეაფასოთ საქართველოში დანაშაულობის დონე – იგი მაღალია თუ დაბალი**

(შეფასებები %)

	საშუალო	ქალი	მამაკაცი
ძალიან მაღალი	14	16	11
ზოგადად მაღალი	26	28	24
ზოგადად დაბალი	40	36	44
ძალიან დაბალი	14	14	14
არ ვიცი	6	6	7
სულ	100	100	100

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009




რესპონდენტების ნახევარზე მეტი, ანუ 54% მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონე (დანაშაულის ფონი) დაბალია. ამ რესპონდენტების აზრით დანაშაულის დონე დაბალია (რესპონდენტების 40%) ხოლო 14%-ის აზრით დანაშაულის დონე ძალიან დაბალია. იმავედროულად, მოსახლეობის 40% მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონე ძალიან მაღალია. ამ ჯგუფიდან 26%-ს მიაჩნია, რომ დანაშაულის დონე მაღალია, ხოლო 14%-ს მიაჩნია რომ იგი ძალიან მაღალია.


როგორ შეიძლება შეფასდეს პასუხების ასეთი სტრუქტურა? უპირველეს ყოვლისა, უადრესად მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დანაშაულის დონე დაბალია უფრო დიდია, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომელთა აზრით დანაშაულის დონე მაღალია. როდესაც ყოველი 10 ადამიანიდან 2-3 ადამიანს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაბალია (ანუ კრიმინოგენური ფონი მაღალია), ვითარება ვერ შეფასდება როგორც პოზიტიური. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობისთვის

დანაშაული მნიშვნელოვანი საკითხია და იგი გავლენას ახდენს ადამიანების აღქმაზე საზოგადოების დაცულობის შესახებ.

კვლევის რესპოდენტები ასევე არსებულ ვითარებაში ცვლილებების თაობაზე აკეთებდნენ შეფასებას. ჩვენ ვთხოვეთ რესპოდენტებს შეედარებინათ საქართველოში არსებული კრიმინოგენური ვითარება 5 წლის წინ არსებულ ვითარებასთან. გამოიკვეთა, რომ ცვლილებები ნეგატიურია. რესპოდენტების ორი მესამედის აზრით (64%) ამჟამად საქართველოში დანაშაულის დონე უფრო მაღალია ვიდრე 5 წლის წინ იყო. რესპოდენტების 7% მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონე უცვლელი დარჩა, ხოლო რესპოდენტების 23% მიაჩნია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში დანაშაულის დონე შემცირდა. მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტ ქალს მიაჩნია, რომ კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა.

მოსახლეობის აზრი დანაშაულის დონეზე იმის მაჩვენებელია, თუ როგორია ადამიანების განცდა საზოგადოების უსაფრთხოების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მოსაზრებები და დასკვნები ხშირად არ შეესაბამება დანაშაულის თაობაზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. საკმაოდ რთულია დანაშაულის დონის რეალისტური შეფასება, რადგანაც აღრიცხული დანაშაული არ ასახავს რეალურად არსებულ დანაშაულის დონეს და იმავდროულად, უაღრესად ძნელია ე.წ. “ჩრდილოვანი”, ანუ დაურეგისტრირებელი სამართალდარღვევების რაოდენობის დადგენა. ადამიანების მიერ დანაშაულის დონის შეფასება უნდა აღქმული იყოს, როგორც ზოგადად დანაშაულის თაობაზე არსებული მოსაზრება, ანუ საზოგადოების დაცულობის ინდიკატორი.





სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მოსახლეობაზე. რესპონდენტებს სთხოვეს შეეფასებინათ სახელმწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებები. რესპონდენტების ორი მესამედის აზრით (69%) სახელმწიფო წარმატებით ახორციელებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. აქედან 52%-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები ზოგადად წარმატებულია, ხოლო 17%-ს მიაჩნია, რომ ეს ღონისძიებები უაღრესად წარმატებულია. რესპონდენტების მხოლოდ ერთ მეხუთედს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებები არ არის წარმატებული. რესპონდენტების პროზიტიური დამოკიდებულება სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისადმი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები ხედავენ და აღიარებენ სახელმწიფოს ძალისხმევას, რომელიც დანაშაულთან ბრძოლისკენაა მიმართული. ეს ასევე არაპირდაპირი სახით იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულთან ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს ლიდერების პოლიტიკურ რიტორიკაში. ადამიანებს კარგად აქვთ დამახსოვრებული დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით გაკეთებული დაპირებები და სჯერათ, რომ სახელმწიფო წარმატებით შეასრულებს თავის დანაპირებებს და აღმოფხვრის დანაშაულს. ის, თუ რა დაუჯდება სახელმწიფოს ეს ღონისძიებები და რა სოციალურ შედეგებს მოიტანს დანაშაულის აღმოფხვრისაკენ მიმართული ზომები, ცალკე განსჯის საკითხია.

### 3. სასჯელის შეფარდების პოლიტიკისადმი დამოკიდებულება

შეფარდებული სასჯელების სიმკაცრე თუ სირბილე, რაც ეროვნული სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, მნიშვნელოვანწილად ქვეყანაში არსებული სოციალური სიტუაციითაა განპირობებული. შესაბამისად, სასჯელის შეფარდების პოლიტიკა მხოლოდ უფრო ფართო სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება შეფასდეს. შედეგად, სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკის შედარებამ შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეგვიქმნას თუ არ გავითვალისწინებთ ამ ქვეყნებში არსებულ სოციალურ ვითარებას და ამ ასპექტის გათვალისწინებით არ განვახორციელებთ შედარებას.

ბევრმა კვლევამ გამოავლინა ზოგადი კანონზომიერების არსებობა, რომლის შესაბამისადაც ბევრი სახელმწიფოს მოსახლეობა სამართალდამრღვევების

უფრო მკაცრ დასჯას მოითხოვს. შედეგად სასჯელშეფარდებითი პოლიტიკა ხშირად პოლიტიკური ბრძოლის საგანი ხდება. რადგანაც საზოგადოებრივი ცნობილია, რომ საზოგადოება როგორც წესი სამართალდამრღვევების უფრო მკაცრ დასჯას მოითხოვს, პოლიტიკოსები წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად აკეთებენ პოპულისტურ განცხადებებს სასჯელების პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის და მისი გამკაცრების თაობაზე.

**სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული მოლოდინი: პირველ რიგში წარმოვადგენთ კვლევის შედეგებს, სადაც განმარტებულია საზოგადოების სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული მოლოდინი. რესპოდენტების წინაშე დასმული იყო შემდეგი შეკითხვა: “წერილმანი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს შეიძლება სხვადასხვა სასჯელი შეეფარდოთ - ანუ თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელის ალტერნატიული ფორმები. რა მიგაჩნიათ უფრო მიზანშეწონილად?**

რესპოდენტებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ თავისუფლების აღკვეთასა (საზოგადოებისგან იზოლირება) და სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს შორის მცირე სამართალდარღვევებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის დანაშაული ყველაზე დიდ წილს შეადგენს საერთო დანაშაულებში. მოცემული შეკითხვა ზოგადად სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის წინაშე არსებულ დილემას წარმოადგენს, რადგანაც გადაწყვეტილებაა მისაღები იმის თაობაზე, მსჯავრდებულები ციხეში უნდა მოთავსდნენ თუ ალტერნატიული სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული, რომელიც როგორც წესი არ ითვალისწინებს სამართალდამრღვევების საზოგადოებისგან იზოლირებას.

ჩვენ გამიზნულად ჩამოვაცალიბეთ ეს შეკითხვა მოცემული რედაქციით, რათა სასჯელის ფორმები ყოფილიყო დაკონკრეტებული და რესპოდენტს განეხილა ჰიპოთეტიური სამართალდარღვევა, რომელსაც “წერილმანი დანაშაული” დავარქვით. ჩვენ რომ მოცემული შეკითხვა შემდეგი სახით ჩამოგვეყალიბებინა: “მსჯავრდებული სამართალდამრღვევები ციხეში უნდა იყონ მოთავსებული თუ პატიმრობის ალტერნატიული სასჯელი შეეფარდოთ”, პასუხები სხვაგვარი იქნებოდა. ჩვენ გვინდოდა ხაზი გაგვესვა იმ მნიშვნელობისათვის, რომელიც რიტორიკასა და სიტყვების შერჩევას ენიჭება, როდესაც საზოგადოება ინფორმაციას იღებს დანაშაულისა და სამართალდამრღვევებისთვის სასჯელის შეფარდების თაობაზე. დანაშაულის განხილვისას უადრესად მნიშვნელოვანია დანაშაულის კონკრეტული სახეების დასახელება და არა ზოგადად დანაშაულის განხილვა. თუ ზოგადად დანაშაულს განვიხილავთ, ადამიანთა უმეტესობა ამას სერიოზულ დანაშაულად აღიქვამს, ხოლო საშიში დამნაშავეები მათი აზრით ისინი არიან, ვინც ადამიანის წინააღმდეგ მძიმე დანაშაული ჩაიდინა. თუ უფრო ლიბერალური სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ასეთ პირველად რეაქციაზე დაფუძნებული, მაშინ ასეთი რეკომენდაციები საზოგადოებაში პოზიტიურ გამოხმაურებას ვერ ჰპოვებს.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ მცირე სამართალდარღვევების შემთხვევაში ადამიანები ძირითადად სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს ანიჭებენ უპირატესობას. სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს თავისუფლების აღკვეთის გარეშე რესპოდენტების 62%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო თავისუფლების აღკვეთას კი 28%-მა. 10%-ს ამასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება არ გამოუხატავს. ქალების 60%-მა და მამაკაცების 64%-მა სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს დაუჭირა მხარი. ქალაქებისა და რაიონების მაცხოვრებლების

დამოკიდებულებას შორის დიდი სხვაობა არ გამოვლენილა. ქალაქის მოსახლეობის 60%-მა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 64%-მა სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს მიანიჭა უპირატესობა. სასჯელის ალტერნატიულ ფორმებთან დაკავშირებული მოსაზრებები უფრო რესპოდენტების რელიგიურ მრწამსზე იყო დამოკიდებული. მორწმუნე რესპოდენტების 66% სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს უჭერდა მხარს, ხოლო ამ სასჯელების მომხრე იმ რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ეკლესიაში არასოდეს არ დადიან 56-ს შეადგენდა<sup>1</sup>.

რესპოდენტების ეთნიკურ წარმომავლობას არ ჰქონია გავლენა მათ დამოკიდებულებაზე სასჯელშეფარდებითი პოლიტიკისადმი. ქართველებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მოსაზრებებს შორის არსებითი განსხვავებები არ გამოვლენილა. არც რესპოდენტების ასაკს ჰქონდა გავლენა მათ მოსაზრებებზე. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების მოცემული საკითხისადმი დამოკიდებულებაზე მათი განათლების დონეს ჰქონდა გავლენა. უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტები უფრო იყვნენ განწყობილი მხარი დაეჭირათ ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისთვის, ვიდრე სხვა რესპოდენტები.

საზოგადოების შეფასება. სასჯელის შეფარდების პოლიტიკა, განაჩენის სიმკაცრე თუ სირბილე, კანონმდებლის გადაწყვეტილებები, რომლებიც გვლენას ახდენს სასჯელადსრულებითი პოლიტიკის ფორმირებაზე, არაპირდაპირი სახით წარმოდგენას იძლევა საზოგადოების დამოკიდებულებაზე და სახელმწიფოში არსებულ სოციალურ გარემოზე. ჩვენ ვეცადეთ კვლევის მეშვეობით გაგვეანალიზებინა თუ როგორ აფასებენ რესპოდენტები თავიანთ საზოგადოებას და ეროვნული სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის სიმკაცრეს. რესპოდენტებს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო განაცხადს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი, საიდანაც ორივე სასჯელთა პოლიტიკას შეეხებოდა.

**1 წინადადება:** საქართველოში სასჯელი ძალიან მკაცრია. ხშირად ადამიანებს წვრილმანი ქურდობისთვის და სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ძალიან მკაცრად ასამართლებენ და მკაცრ სასჯელს უფარდებენ. ეს არ არის სამართლიანი.



**2 წინადადება:** სამართალდარღვევებზე მკაცრი კონტროლი უნდა დამყარდეს. დამნაშავეები მკაცრად უნდა დაისჯონ, ეს მზარდი დანაშაულის აღმოფხვრისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა.

რესპოდენტების ნახევარზე მეტმა, კერძოდ 54%-მა პირველ წინადადებას დაუჭირა მხარი და განაცხადა, რომ საქართველოს სასჯელშეფარდების პოლიტიკა ძალიან მკაცრია. მათი აზრით სასჯელთა პოლიტიკა გადაჭარბებულად მკაცრია და არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს უსამართლოდ დებენ მსჯავრს. რესპოდენტების ერთი მესამედი (32%) მხარს უჭერს მკაცრ სასჯელშეფარდებით პოლიტიკას და მასზე დადებითი აზრის არიან და სჯერათ, რომ დღეს ქართულ

<sup>1</sup> კვლევის თანახმად, რელიგიასთან მიმართებაში რესპოდენტების პასუხებზე დაფუძნებით საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ასეთია: რესპოდენტების 14%-ი: „ეკლესიაში ხშირად დავდივარ და ყველა საეკლესიო ტრადიციას ვიცავ“, რესპოდენტების 40%-ი: „ეკლესიაში მნიშვნელოვან საეკლესიო დღესასწაულებზე დავდივარ და გარკვეულ საეკლესიო ტრადიციებს ვიცავ“, 35% - „იშვიათად დავდივარ ეკლესიაში“, 7%- „არ დავდივარ ეკლესიაში“, 3%- „არა ვარ რელიგიური“, 1%- „ვერ გეტყვი“.

საზოგადოებას სწორედ ასეთი პოლიტიკა ესაჭიროება, რათა საზოგადოების უსაფრთხოება იყოს დაცული. ზრდასრული მოსახლეობის ერთ მესამედი საკმაოდ დიდი ნაწილია, იმისთვის რომ აქტიური კონტრბალანსი შექმნას და განსხვავებული აზრი გააჩნდეს მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომლის აზრითაც სასჯელთა პოლიტიკა უადრესად მკაცრია. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ორივე ბანაკს დღეს საქართველოში საკმარისი რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავს. მამაკაცებისა და ქალების დამოკიდებულებაში არსებითი განსხვავება არ გამოვლენილა. მამაკაცების 55%-ს და ქალების 53%-ს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების ძალიან დიდი რაოდენობაა საქართველოში. ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობას შორის დიდი სხვაობა არ შეიმჩნევა. ქალაქის მოსახლეობის 53%-ს და სოფლის მოსახლეობის 55%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს უსჯიან თავისუფლების აღკვეთას. რესპოდენტების ასაკს, განათლების დონეს და მატერიალურ მდგომარეობას არსებითი სხვაობა მოსაზრებებში არ გამოუწვევია. გამოკითხულთა მოსაზრებები ასევე არ იყო დამოკიდებული მათ საქმიანობაზე. დასაქმებულებს და უმუშევრებს, პენსიონერებს და სტუდენტებს დაახლოებით მსგავსი დამოკიდებულება გააჩნდათ სასჯელშეფარდებითი პოლიტიკისადმი. ნახევარზე მეტი რესპოდენტი არ უჭერდა მხარს მკაცრ სასჯელთა პოლიტიკას, ხოლო ერთი მესამედი მისი მომხრე იყო.

ინფორმირებულობის დონე სასჯელების თაობაზე დაბალია. საზოგადოების ინფორმირებულობა სასჯელების სახეების, მათი სიმკაცრის თუ სირბილის თაობაზე უადრესად მნიშვნელოვანია სასჯელთა პოლიტიკის შემუშავებისა და დახვეწის მიზნით. რესპოდენტებმა სხვადასხვა სახის სასჯელების თაობაზე მათი ინფორმირებულობის დონე შეაფასეს. ანუ ისინი თავად აფასებდნენ თუ რამდენად იცოდნენ ამა თუ იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სახის შესახებ.





რესპოდენტთა 86%-მა აღნიშნა, რომ მათ გააჩნიათ მცირე ინფორმაცია სასჯელების თაობაზე. რესპოდენტების 58%-მა აღნიშნა, რომ “მათ საერთოდ არაფერი იციან ამის თაობაზე, ხოლო 28%-მა განაცხადა, რომ მათ ცოტა რამ იციან ამის თაობაზე (რაც მთლიანად 86%-ს შეადგენს). ზრდასრულ რესპოდენტთა მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ ისინი “კარგად არიან ინფორმირებულები” სასჯელების თაობაზე, ხოლო 12%-მა განაცხადა, რომ მათ “რადცა ინფორმაცია გააჩნიათ”. შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანების მცირე რაოდენობას მიაჩნია, რომ მათ გარკვეული ინფორმაცია გააჩნიათ საქართველოში არსებული სასჯელადსრულებითი სისტემის თაობაზე. აქ საკმაოდ წინააღმდეგობრივ სიტუაციას ვაწყდებით, რადგანაც დანაშაულს და განსაკუთრებით კი დანაშაულთან ბრძოლას პოლიტიკური რიტორიკის დიდი ნაწილი ეთმობა და ამის მიუხედავად, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს გააჩნია ინფორმაცია რეალურად არსებული სასჯელების და პრინციპების თაობაზე, რომლებიც სასჯელთა პოლიტიკას უდევს საფუძვლად. არსებობს საინფორმაციო დისბალანსი და სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის პრინციპები არ არის ცნობილი საქართველოს საზოგადოებისათვის. ადამიანებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ შემუშავდა სახელმწიფოს სასჯელშეფარდებითი პოლიტიკა და რომელი სასჯელის შეფარდება ხდება ყველაზე ხშირად.

ესტონეთის გამოცდილებამ აჩვენა, თუ რარივ მნიშვნელოვანია განმატებების ხასიათი და ტერმინოლოგია, როცა სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის შეცვლისა და ლიბერალიზაციის მიმართულებითაა გეზი აღებული. ესტონეთმა სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის ლიბერალიზაცია 2005 წლიდან დაიწყო. ლიბერალიზაცია საწყის ეტაპზე საზოგადოების წინაშე წარდგენილი იყო როგორც “პატიმრების ვადამდელი გათავისუფლება”. ესტონეთის საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტის მიერ 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ასეთი სახის განცხადებები არ იყო საკმარისი. საზოგადოება სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგანაც ადამიანებს სჯეროდათ, რომ პატიმრების ვადამდელი გათავისუფლება პრაქტიკულად მასობრივ ამნისტიას ნიშნავდა. თუ სასჯელთა პოლიტიკის ლიბერალიზაცია საზოგადოებისთვის წარდგენილია ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორიცაა “პატიმრების შეწყალება”, ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ ეს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული დამნაშავეების გათავისუფლებას ნიშნავს და მიაჩნიათ, რომ ასეთი ადამიანები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის, რაც შეწყალებისადმი ფსიქოლოგიურად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. უაღრესად მნიშვნელოვანია შეწყალების მიზანშეწონილობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება და იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რომ ვადამდელი გათავისუფლება ამ ადამიანების საზოგადოებასთან ინტეგრაციას უწყობს ხელს.

საზოგადოებისთვის უფრო გასაგებია, თუ სამართალდამრღვევებსა და პატიმრებთან დაკავშირებული საკითხები მაქსიმალურად ნათლად იქნება წარდგენილი. მაგალითად, საჭიროა დაკონკრეტება, რომ საუბარია ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა წვრილმანი ქურდობა ან ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაული. ანუ ნათელია, რომ აქ საუბარია მსუბუქ სამართალდარღვევებზე და მოკლევადიან პატიმრობაზე.

სამინისტროებისა და დეპარტამენტების პრეს რელიზები ხშირად ძალიან მოკლე და ლაკონურ ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას და არ ასახავენ საკითხის



არსს. არ არის საკმარისად გაშუქებული პატიმრებთან დაკავშირებით დანერგილი ინდივიდუალური მიდგომა ან მათი ვადამდელი გათავისუფლების მიზეზები.

ვინაიდან პატიმრებთან და დანაშაულთან დაკავშირებული ვითარება ზოგადად საზოგადოების ცხოვრების ნეგატიურ ასპექტს წარმოადგენს, პოლიტიკოსები არ არიან დაინტერესებული იმით, რომ მოცემულ საკითხებზე ხშირად ესაუბრონ მედიას და მისი მეშვეობით საზოგადოებას. გარდა ამისა საზოგადოებისთვის და ჟურნალისტებისთვის სასჯელების შეფარდების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები არ არის გასაგები. აქედან ადვილი მისახვედრია თუ რატომაა საზოგადოების შეგნება ასეთი დაბალი სასჯელთა პოლიტიკასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ინფორმაციის ნაკლებობის გამო საზოგადოება ვერ განსჯის რაციონალურად და ვერ გააცნობიერებს ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობას საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის და დემოკრატიული პრინციპების დანერგვისათვის.

### **3.1. სასჯელთა შეფარდების პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული მოსაზრებები**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ყველა ქვეყნის მოსახლეობა ზოგადად უფრო მკაცრი სასჯელების მომხრეა, ვიდრე უფრო ლიბერალური მიდგომისა. ჩვენს კვლევაში რესპოდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ დანაშაულის სხვადასხვა ფორმები და გაეწიათ რეკომენდაცია იმის თაობაზე თუ, მათი აზრით, რომელ დანაშაულს რა სასჯელი უნდა შეეფარდოს. რესპოდენტებმა სულ 11 სხვადასხვა ჰიპოთეტიური დანაშაული და შესაფარდებელი სასჯელი განიხილეს.

გამოკითხულებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ სასჯელის დანაშაულთან შესაბამისობა 5 დონიანი შკალის მიხედვით. შკალა სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმებიდან იწყებოდა, მაგალითად “პირობითი სასჯელი”, ”ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 3 წლამდე”, “თავისუფლების აღკვეთა 3-დან 8 წლამდე”, “თავისუფლების აღკვეთა გრძელი ვადით, 8 წლიდან 20 წლამდე” და “უვადო პატიმრობა” (20 წელზე მეტი). ჩვენ კვლევის ფარგლებში ორი რეიტინგი მოვაშაადეთ, რაც 3.1 და 3.2 ცხრილშია ჩამოყალიბებული.

პირველი ცხრილი (3.1) მკაცრი სასჯელების ჩამონათვალს შეიცავს და მასში ასახულია რესპოდენტების დამოკიდებულება სხვადასხვა დანაშაულისთვის შესაფარდებელ სასჯელებთან მიმართებაში, ანუ რანჟირება გაკეთებულია იმის საფუძველზე, თუ რესპოდენტების რამდენმა პროცენტმა დაუჭირა მხარი უვადო პატიმრობას, ანუ ყველაზე მკაცრ სასჯელს.

მეორე ცხრილში (3.2) ასახულია უფრო მსუბუქ სასჯელებთან დაკავშირებული დამოკიდებულება. დანაშაულის რანჟირება იმის მიხედვით განხორციელდა, თუ რესპოდენტთა რამდენმა პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა ყველაზე მსუბუქ სასჯელს, ანუ “პირობითი პატიმრობას”

ცხრილი 3.1. შესაძლო სასჯელებთან დაკავშირებული მოსაზრებები. მკაცრი სასჯელების ჩამონათვალი. ყველაზე მკაცრი სასჯელი შემდეგი დანაშაულებისთვის უნდა იყოს შეფარდებული:

(შეფასება %-ში %)

დანაშაულისა და მკაცრი სასჯელების ჩამონათვალი	უნდა მიესაჯოს უვადო პატიმრობა			
	საშუალო	15-24 წლის	25-44 წლის	45 წელი და მეტი
გაუპატიურება	46	38	51	46
ნარკოტიკების ტრეფიკინგი და რეალიზაცია	44	35	46	47
ადამიანის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაული, რომელიც სხეულის მძიმე დაზიანებასთან ან მკვლელობასთანაა დაკავშირებული	36	25	32	47
პროსტიტუციის ხელშეწყობა და საროსკიპოს მფლობელობა	19	15	17	24
ნარკოტიკების შესყიდვა და გამოყენება	8	2	9	11
ქრთამის აღება	4	4	4	5
დოკუმენტების გაყალბება	2	1	3	2
ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა	1	...*	1	...
ავტოსაგზაო შემთხვევის გამოწვევა	1	...	1	...
ქურდობა თავდასხმის გარეშე	...	...	...	1
ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი მსუბუქი დანაშაული, ძარცვა, თავდასხმა	...	...	...	...

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

- „...“ ნიშნავს, რომ რესპოდენტების რაოდენობა ყველა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ როგორც გამოიკვეთა საქართველოს კულტურულ კონტექსტში ორი სახის დანაშაული იმსახურებს ყველაზე მკაცრ სასჯელს, ესენია გაუპატიურება და ნარკოტიკების გადატანა, გადაზიდვა, შენახვა და რეალიზაცია. რესპოდენტების თითქმის ნახევარს (46% და 44%) მიაჩნია, რომ ზემოხსენებული დანაშაულისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული, ანუ უვადო პატიმრობა.

აღსანიშნავია, რომ ამ რესპოდენტების აზრით ეს ორი დანაშაული უფრო იმსახურებს მკაცრ სასჯელს, ვიდრე ადამიანის მძიმე დაშავება ან მკვლელობა. გამოკითხულთა 36%-ს მიაჩნია, რომ უვადო პატიმრობა ადეკვატური სასჯელია ადამიანისთვის მძიმე ფიზიკური ზიანის მიყენების ან მისი მკვლელობისთვის.

რესპოდენტებს ასევე მიაჩნიათ, რომ პროსტიტუციის ხელშეწყობა და საროსკიპოს მფლობელობა ასევე სერიოზული დანაშაულია და მკაცრ სასჯელს იმსახურებს. გამოკითხულთა 19%-ს მიაჩნია, რომ უვადო პატიმრობა ადეკვატური სასჯელია ასეთი დანაშაულისთვის.

**ცხრილი 3.2. შესაძლო სასჯელებთან დაკავშირებული მოსაზრებები. მსუბუქი სასჯელების ჩამონათვალი. ყველაზე მსუბუქი სასჯელი შემდეგი დანაშაულებისთვის უნდა იყოს შეფარდებული:**

(შეფასება %-ში %)

დანაშაულისა და მსუბუქი სასჯელების ჩამონათვალი	უნდა მიესაჯოს პირობითი მსჯავრი			
	საშუალო	15-24 წლის	25-44 წლის	45 წლის და მეტი
ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა	55	58	60	49
ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი მსუბუქი დანაშაული, ძარცვა, თავდასხმა	39	42	43	32
ავტოსაგზაო შემთხვევის გამოწვევა	38	43	38	35
ქურდობა თავდასხმის გარეშე	30	32	27	33
ნარკოტიკების შესყიდვა და გამოყენება	28	23	33	25
დოკუმენტების გაყალბება	17	12	19	17
ქრთამის აღება	12	8	13	12
პროსტიტუციის ხელშეწყობა და საროსკიპოს მფლობელობა	5	7	6	4
ნარკოტიკების ტრეფიკინგი და რეალიზაცია	2	1	1	3
გაუპატიურება	1	...*	1	2
ადამიანის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაული, რომელიც სხეულის მძიმე დაზიანებასთან ან მკვლელობასთანაა დაკავშირებული	...	...	...	...

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

- „...“ ნიშნავს, რომ რესპოდენტების რაოდენობა ყველა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

ზემოთ მოცემულია მოსახლეობის აზრით იმ დანაშაულების ჩამონათვალი, რისთვისაც მსუბუქი სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული. უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სახის დანაშაულია მისაღები ქართული საზოგადოებისთვის. ნებისმიერ ქვეყანაში სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის შემუშავებაზე სოციალური ადექვატურობის პრინციპი მოქმედებს. თუ ზოგადად საზოგადოებაში არსებობს რაიმე ქმედება, რომელიც გავრცელებულია და ზოგადად მისაღებია, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ ქმედების კრიმინალიზაცია და მისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდება. ჩვენი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქართული საზოგადოებისთვის მისაღები ქმედებაა ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები. რესპოდენტების 55%-ს აზრით, ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში პირობითი სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული. გამოკითხულთა 38%-ს მიაჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისთვისაც პირობითი სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული.

საქართველოს მიმდინარე სოციალურ გარემოში მოსახლეობა, როგორც წესი, უფრო მკაცრ და გრძელვადიან სასჯელს ითხოვს დანაშაულებისათვის. შეფასებებიდან ნათელი ხდება, რომ საზოგადოების აზრით უფრო მკაცრი სასჯელების მეშვეობით სიტუაციის რეგულირება მისაღებია და მიზანშეწონილია. საინტერესოა, რომ სამართალდამრღვევების გრძელი ვადით ან სამუდამოდ ციხეში მოთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები არ არის გათვალისწინებული ამ ადამიანების მიერ, როცა ისინი ასეთ სასჯელებს უჭერენ მხარს.

საქართველოს მოსახლეობისთვის მისაღებია მკაცრი სასჯელები გარკვეული სახის დანაშაულისთვის. იმავდროულად, არსებობენ განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანებიც, რაც წინააღმდეგობრივი სიტუაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სასამართლოების გადაწყვეტილებების შეფასების დროს რესპოდენტების ორმა მესამედმა, ანუ 63%-მა განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელები ზედმეტად მკაცრია და არ არის დანაშაულის თანაბარზომიერი.



### 3.2. ალტერნატიული სასჯელები, რომლებსაც მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს


რესპოდენტებს სთხოვეს კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული ალტერნატიული სასჯელების შეფასება, რომელთა გამოყენებაც შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად. შეკითხვა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: *“მსუბუქ დანაშაულთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად მთელი რიგი სხვა ალტერნატიული სასჯელის შეფარდებას. თქვენ რა აზრის ხართ ალტერნატიულ სასჯელებზე? (64-ე კითხვა)*

#### ცხრილი 3.3. ალტერნატიული სასჯელების შეფასება

(შეფასება %)			
მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში	საშუალო	ქალები	მამაკაცები
<b>... თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება</b>			
- ნამდვილად მხარს ვუჭერ	63	59	66
- ძირითადად მხარს ვუჭერ	25	27	22
- ძირითადად წინააღმდეგი ვარ	7	6	7
- არ ვიცი	5	8	5
- სულ	100	100	100
<b>... თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად პრობაციის ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ ვადამდე ადრე განთავისუფლება</b>			
- ნამდვილად მხარს ვუჭერ	38	33	43
- ძირითადად მხარს ვუჭერ	34	38	29
- ძირითადად წინააღმდეგი ვარ	19	17	21
- არ ვიცი	9	12	7
- სულ	100	100	100
<b>... თავისუფლების აღკვეთის ჯარიმით ჩანაცვლება</b>			
- ნამდვილად მხარს ვუჭერ	36	32	41
- ძირითადად მხარს ვუჭერ	24	26	21
- ძირითადად წინააღმდეგი ვარ	30	31	29
- არ ვიცი	10	11	9

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009





კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მსუბუქ დანაშაულთან დაკავშირებით საზოგადოება მოელოდა, რომ ალტერნატიული სასჯელი უნდა იყოს შეფარდებული. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მისაღები ალტერნატიული სასჯელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა იყო. რესპონდენტების 88% ამ სასჯელს ანიჭებდა უპირატესობას, რაც სავარაუდოდ საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონითაა განპირობებული<sup>2</sup>. თავისუფლების აღკვეთის პრობაციის ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ პირობით ვადამდე გათავისუფლებით ჩანაცვლებას რესპონდენტების 72%-მა, ხოლო ჯარიმის დაკისრებას კი გამოკითხულთა 60%-მა დაუჭირა მხარი. სხვა ალტერნატიულ სასჯელებთან შედარებით ჯარიმის გამოყენებისათვის ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა, სავარაუდოდ, იმითაა განპირობებული, რომ ოჯახების შემოსავლის დონე დაბალია, რაც, თავის მხრივ, უმუშევრობის მაღალი დონის შედეგია.

### **3.3. სასჯელ შეფარდებითი პოლიტიკის ლიბერალიზაცია**

სასჯელთა შეფარდების პოლიტიკის ლიბერალიზაცია საზოგადოების სოციალურ მოლოდინთანაა დაკავშირებული. მოსახლეობის მოლოდინი სასჯელებთან დაკავშირებით ზეგავლენას ახდენს კანონმდებლის გადაწყვეტილებებზე, როდესაც მას ცვლილებები შეაქვს სასჯელთა შეფარდების პოლიტიკის პრინციპებში. მსჯავრდებულების ვადამდელი გათავისუფლება სასჯელადსრულებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციის ერთ ერთი მეთოდია. კვლევაში სოციალური ტოლერანტობის ზღვარის შესწავლა განხორციელდა, ანუ გამოვლენილი იქნა ის სოციალური ჯგუფები, რომელთა მიმართ საზოგადოება უფრო ტოლერანტულია და მზადაა დაეთანხმოს მათ ვადამდელ გათავისუფლებას. (65-ე კითხვა)

ჩვენ პირველ რიგში შევისწავლეთ ადამიანების წინასწარი განწყობა პატიმრების ვადამდელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ჩვენ არ დავაყენეთ წინაპირობად “იმ პატიმრების ვადამდელი განთავისუფლება, რომლებსაც მსუბუქი სასჯელი შეეფარდათ” ან არ მივაწოდეთ რაიმე მინიშნება იმის თაობაზე, რომ

<sup>2</sup> კვლევის თანახმად 2009 წლის ივლისის მდგომარეობით რესპონდენტების 43%-ს მიაჩნია, რომ ისინი უმუშევრები არიან, მათ შორის ქალების 37%-ს და მამაკაცების 50%-ს მიაჩნია ასე.

არასრულწლოვანი დამნაშავეები გვყავდა მხედველობაში. შეკიხვა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: “პატიმრები სასჯელის სრულ მოხდამდე უნდა დარჩნენ ციხეში თუ უფრო ხშირად უნდა მოხდეს მათი ვადამდე ადრე გათავისუფლება?” (65-ე კითხვა)

რესპონდენტების მხოლოდ ერთ მეხუთედს, ანუ 20%-ს მიაჩნდა, რომ პატიმრები ციხეში უნდა დარჩნენ სასჯელის სრულად მოხდამდე. რესპონდენტების 39%-ი არ იყო დარწმუნებული ამ პრინციპის სისწორეში, ხოლო 24%-ს მიაჩნდა, რომ ეს პრინციპი არასწორია. 17%-მა არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

სხვა არჩევანი ისეთი სახით იყო ჩამოყალიბებული, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში გამოგვევლინა რესპონდენტების მიდგომა და ტოლერანტობა. რესპონდენტებმა გააკეთეს იმ სოციალური ჯგუფების რანჟირება, რომლებთანაც მიმართებაში ვადამდელი გათავისუფლება მისაღები იქნებოდა.

ცხრილში 3.4 ჩამოყალიბებულია რესპონდენტების პასუხებზე დაყრდნობით გაკეთებული რანჟირება იმ სოციალურ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლებთანაც მიმართებაში ვადამდელი გათავისუფლება მისაღები იქნებოდა. ცხრილში შედარებულია ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის დამოკიდებულება.

**ცხრილი 3.4. სასჯელადსრულებითი პოლიტიკის რეიტინგი. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელი პატიმრების ვადამდელი გათავისუფლება (65-ე კითხვა)**

(შეფასება %)

სასჯელადსრულებითი პოლიტიკისადმი დამოკიდებულება	საშუალო	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>პატიმარი დედები შეიძლება ვადამდე ადრე იქნენ გათავისუფლებული</i>			
- სწორი იქნებოდა	<b>71</b>	68	75
- არ ვარ დარწმუნებული	16	15	17
- არასწორი იქნებოდა	3	3	3
- არ ვიცი	10	14	5
- სულ	100	100	100
<i>სანიმუშო ქცევისთვის პატიმრები შეიძლება ვადამდე ადრე იქნან გათავისუფლებული</i>			
- სწორი იქნებოდა	<b>68</b>	67	69
- არ ვარ დარწმუნებული	19	18	21
- არასწორი იქნებოდა	3	3	4
- არ ვიცი	10	12	6
- სულ	100	100	100
<i>მსუბუქი დანაშაულისთვის დაპატიმრებული პირები შეიძლება ვადამდე ადრე იქნან განთავისუფლებული</i>			
- სწორი იქნებოდა	<b>67</b>	64	71
- არ ვარ დარწმუნებული	20	19	20
- არასწორი იქნებოდა	3	3	3
- არ ვიცი	10	14	6
- სულ	100	100	100

(შეფასება %)

სასჯელშეფარდებითი პოლიტიკისადმი დამოკიდებულება	საშუალო	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>არასრულწლოვანი პატიმრები შეიძლება ვადამდე ადრე იქნან გათავისუფლებული</i>			
- სწორი იქნებოდა	<b>64</b>	62	66
- არ ვარ დარწმუნებული	20	17	23
- არასწორი იქნებოდა	4	3	5
- არ ვიცი	12	18	6
- სულ	100	100	100
<i>ქალი პატიმრები შეიძლება ვადამდე ადრე იქნან გათავისუფლებული</i>			
- სწორი იქნებოდა	<b>62</b>	61	64
- არ ვარ დარწმუნებული	21	19	23
- არასწორი იქნებოდა	6	4	7
- არ ვიცი	11	16	6
- სულ	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

ანალიზის შედეგად გამოვლინდა ზოგადი ტენდენცია, რომ იმ სოციალური ჯგუფების მიმართ, რომლებიც დაუცველ ან უფრო “სუსტ” ჯგუფებად ითვლებიან, კერძოდ კი ქალების, არასრულწლოვანებისა და დედების მიმართ, რესპონდენტების ტოლერანტობის დონე ბევრად უფრო მაღალია. ანუ, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების მზადყოფნა დაინერგოს ინდივიდუალური მიდგომა ამ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ უადრესად მაღალია.

ქართული საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დედის მცნება. მოსახლეობის 71%-მა მხარი დაუჭირა პატიმარი დედების მიმართ ლიბერალურ მიდგომას და მათ ვადამდე გათავისუფლებას. სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება დედების მიმართ კიდევ უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე ქალაქის მოსახლეობისა, შესაბამისად მათ ვადამდე გათავისუფლებას სოფლის მოსახლეობის 75%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო ქალაქის მოსახლეობის 68%-მა. აღსანიშნავია, რომ ქართველი მამაკაცი რესპონდენტები უფრო ტოლერანტული აღმოჩნდნენ პატიმარი დედების ვადამდე გათავისუფლებასთან მიმართებაში, ვიდრე ქალი რესპონდენტები. მამაკაცების 73%-ს და ქალების 69%-ს მიაჩნია, რომ პატიმარი დედები ვადამდე უნდა იყვნენ გათავისუფლებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სხვაობა ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებებს შორის მაინც უმნიშვნელო იყო.

გარდა ლიბერალური დამოკიდებულებისა დაუცველი სოციალური ჯგუფებისადმი საქართველოს მოსახლეობა ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა სიმძიმის სამართალდარღვევებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. რესპონდენტების 67% არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ვადამდე გათავისუფლებას უჭერს მხარს. რესპონდენტების 68% ასევე სამაგალითო ქცევისთვის პატიმრების ვადამდე გათავისუფლებას უჭერს მხარს.

სასჯელსრულებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციის კონტექსტში უადრესად მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ საზოგადოების აზრი პატიმრების ვადამდე გათავისუფლებასთან მიმართებაში. ანუ, უნდა დავადგინოთ, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის რომელი ნაწილი უჭერს მხარს პატიმრების



ვადამდელი გათავისუფლების პრინციპს და ვადამდელი გათავისუფლების კონკრეტულად რომელ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას მოსახლეობის ეს ნაწილი.

**ცხრილი 3.5. პატიმრების ვადამდელ განთავისუფლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა შესაძლებლობები არსებობს. თუ შეიძლება განახორციელებთ მათი რანჟირება მნიშვნელობის მიხედვით. №1 ყველაზე მნიშვნელოვანია და ა.შ. (66-ე კითხვა)**

	(შეფასება %)
<b>პატიმრების ვადამდელი გათავისუფლების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს:</b>	<b>რესპონდენტების აზრით ყველაზე უფრო მისაღები არჩევანი (პრეფერენცია)</b>
... ამნისტია	55%
... შეწყალება	29%
... ვადამდელი გათავისუფლება პრობაციის ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ	16%
სულ	100%

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საზოგადოებისთვის ყველაზე გასაგები და მისაღები არჩევანია პატიმრების ვადამდელი გათავისუფლება ამნისტიის გზით. რესპონდენტების 55%-მა პირველ რიგში ამნისტია დაასახელა. შეწყალებას გამოკითხულთა 29%-მა მიანიჭა უპირატესობა, ხოლო პრობაციის ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ ვადამდელ გათავისუფლებას რესპონდენტების 16%-მა დაუჭირა მხარი. გამოკითხულთა 19%-მა არ გასცა პასუხი ვადამდელი გათავისუფლების ფორმებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე.

შედეგების ინტერპრეტაციის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას რესპონდენტების ცოდნა პატიმრების ვადამდელ გათავისუფლებასთან დაკავშირებული ფორმების თაობაზე. კვლევის შეზღუდული არეალის გამო არ იყო შესაძლებელი დეტალურად შეგვესწავლა სასჯელშეფარდებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან და პატიმრების ვადამდელ გათავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვან ნაწილს არ შესწევდათ უნარი დასკვნები გაეკეთებინათ ვადამდელი გათავისუფლების სხვადასხვა ფორმის სოციალური მნიშვნელობაზე და ლიბერალიზაციის ზეგავლენაზე საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

### **3.4. პატიმრების რაოდენობასთან დაკავშირებული მოსაზრებები**

კვლევის პროცესში რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ პატიმრების რაოდენობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, რათა გამოგვევლინა ზოგადად მოსახლეობის დამოკიდებულება და პოზიცია მსჯავრდებისა და ნასამართლობის მასშტაბის მიმართ.

ჩვენი შეკითხვა ისეთი სახით იყო დასმული, რომ მასში მითითებული იყო პატიმრების რაოდენობა საქართველოში. კერძოდ, კითხვა ასე იყო ჩამოყალიბებული: *ამჟამად საქართველოში დაახლოებით 20,000 პატიმარია. როგორ შეაფასებდით ამ სიტუაციას? (71-ე კითხვა)* მოცემული შეკითხვა კითხვარის ბოლოს იყო, ანუ მას შემდეგ, რაც რესპონდენტებს უკვე შეფასებული ჰქონდათ საქართველოს სასჯელშეფარდებითი/აღსრულებითი პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი. ამგვარად, პატიმრების არსებული რაოდენობა არ ახდენდა ზეგავლენას გამოკითხულების მიერ სასჯელშეფარდებითი/აღსრულებითი პოლიტიკის შეფასებებზე წინა შეკითხვების კონტექსტში.

ინტერვიუს საწყის ეტაპზე რესპონდენტებს უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე მათი აზრით დანაშაულის დონე მაღალია თუ დაბალი. მათი პასუხები საშუალებას გვაძლევდა შეგვეფასებინა მათი წარმოდგენა დანაშაულის დონეზე. ეს პირველ რიგში მიუთითებს ადამიანების მიერ იმ საცხოვრებელი გარემოს შეფასებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ანუ რამდენად უსაფრთხოა ზოგადად ეს გარემო და გრძნობენ თუ არა ისინი თავს დაცულად.

მკვლევარებმა გამიზნულად შეარჩიეს კითხვის ისეთი ფორმით ჩამოყალიბება, რომ იგი საზოგადოების გარკვეული ასპექტების თაობაზე შეიცავდა ინფორმაციას. ამგვარად, ყველა რესპონდენტი ერთნაირ საწყის ინფორმაციას იღებდა საზოგადოების შესახებ და კონკრეტული სიტუაციის შეფასება მოეთხოვებოდათ.

საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედის აზრით (69%) 20,000 პატიმარი “ზეტისმეტად ბევრია” საქართველოსთვის. რესპონდენტების 13%-მა განაცხადა რომ ეს “საკმარისი” რაოდენობაა, ხოლო 5%-ის აზრით ამჟამად შესაძლებელია რომ “უფრო მეტი” პატიმარი იყოს. რესპონდენტების 13%-მა არ უპასუხა მოცემულ შეკითხვას და უარი განაცხადა სიტუაციის შეფასებაზე.

რესპონდენტების მოსაზრება პატიმრების რაოდენობის თაობაზე საკმაოდ ერთგვაროვანი იყო. მნიშვნელოვანი სხვაობა მამაკაცებისა და ქალების მოსაზრებებს შორის არ გამოვლენილა. დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არ იცვლებოდა რესპონდენტების განათლების, ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის, ან ქალაქსა თუ სოფელში ცხოვრების მიხედვით.

დამოკიდებულებაში ცვლილებები იჩენს თავს რესპონდენტების ასაკისა და ეკლესიისადმი დამოკიდებულების მიხედვით. შუა ხნის და ხანდაზმული რესპონდენტები უფრო მიდრეკილი არიან ჩათვალონ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი პატიმარია, ვიდრე ახალგაზრდები. იგივე აზრის არიან ის ადამიანები, ვისაც მჭიდრო კავშირი აქვს ეკლესიასთან.

რესპონდენტების პოზიციის ზოგადი შეფასებისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ ქართული საზოგადოება “ზედმეტად მიდრეკილია მკაცრი სასჯელების მხარდაჭერისაკენ”. შესაბამისად, რესპონდენტების დიდ რაოდენობას მიაჩნია, რომ პატიმრების რაოდენობა საქართველოში ძალიან მაღალია.

ადამიანების დამოკიდებულება სასჯელთა შეფარდების პოლიტიკისადმი მკაფიოდ ჩანს რესპონდენტების პასუხიდან შეკითხვაზე უჭერენ თუ არა ისინი მხარს პატიმართა რაოდენობის რეგულირებას საქართველოში.

**ცხრილი 3.6.** როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება საქართველოში პატიმრების რაოდენობის შემცირებისადმი? (72-ე კითხვა)


(შეფასება %)

	საშუალო	ქალი	მამაკაცი
მხარს ვუჭერ, ეს ნამდვილად უნდა გაკეთდეს	61	57	65
პრინციპში მხარს ვუჭერ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ამის განხორციელება ადრეა	21	23	19
მეტ-ნაკლებად წინააღმდეგი ვარ	3	3	3
ნამდვილად წინააღმდეგი ვარ	1	1	1
არ ვიცი	14	16	12
სულ	100	100	100

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციის აუცილებლობა ნათლად გამოიკვეთა რესპონდენტების პასუხებში და დამოკითხულების 61%-ი ცალსახად უჭერს მხარს საქართველოში პატიმრების რაოდენობის შემცირებას და მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ ისინი ამ ზომის წინააღმდეგი არიან. მამაკაცები უფრო უჭერენ მხარს პატიმრების რაოდენობის შემცირებას, ვიდრე ქალები.

მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტების დამოკიდებულებაში არ გამოვლენილა.



**4. საპყრობილებებში არსებული ვითარებისადმი დამოკიდებულება**

საზოგადოების დამოკიდებულება სასჯელთა შეფარდების/აღსრულების პოლიტიკისადმი და ზოგადად უფრო მკაცრი თუ უფრო ლიბერალური სასჯელების გამოყენებისადმი მხარდაჭერა განპირობებულია იმითი, თუ

რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება აღნიშნულის თაობაზე. ანუ, რამდენად გაცნობიერებული აქვს მოსახლეობას სასჯელ შეფარდებითი/აღსრულებითი პოლიტიკის ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე და რამდენად ინფორმირებულია იგი ციხეებში არსებული ვითარებისა და პატიმრებისადმი მოპყრობის თაობაზე.

#### 4.1. ინფორმაციის ნაკლებობა

კვლევის შედეგების წინასწარმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ზრდასრული მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე. ჩვენ აგრეთვე შევისწავლეთ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზოგადი დონე იმ ინსტიტუციებში არსებული სიტუაციის შესახებ, სადაც სპეციალური საჭიროებების მქონე პირები არიან მოთავსებული. რესპონდენტების მოსაზრებები ცხრილშია ასახული და რანჟირებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ ამ დაწესებულებებში არსებულ ვითარებაზე მსჯელობა. პირველ რიგში ის ინსტიტუტებია ჩამოთვლილი, რომელთა შესახებ რესპონდენტებს მეტ-ნაკლებად შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი, ანუ დავასახელოთ ის ინსტიტუტები, რომლებთანაც დაკავშირებით ნაკლები რესპონდენტი ამბობდა “არ ვიცი ამის თაობაზე”.

ცხრილში შედარების მიზნით ასახულია ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლების მოსაზრებები. ლურჯად აღნიშნულია ის შემთხვევები, როდესაც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აზრი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ცხრილი 4.1. საქართველოს შემდეგ ინსტიტუციებსა და დაწესებულებებში ადამიანებისადმი დამოკიდებულების შეფასება (70-ე კითხვა)

(შეფასება %)

რესპონდენტების შეფასებები შემდეგ დაწესებულებებში არსებული სიტუაციის თაობაზე	საშუალო	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>ბავშვთა სახლებში</i>			
- კარგი	20	10	32
- დამაკმაყოფილებელი	29	26	32
- ცუდი	5	6	4
- არ ვიცი	<b>46</b>	<b>58</b>	<b>32</b>
- სულ	100	100	100
<i>სასჯელაღსრულების დაწესებულებებში</i>			
- კარგი	2	2	3
- დამაკმაყოფილებელი	21	18	24
- ცუდი	30	31	29
- არ ვიცი	<b>47</b>	49	44
- სულ	100	100	100
<i>წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში</i>			
- კარგი	2	2	2
- დამაკმაყოფილებელი	16	14	18
- ცუდი	34	33	26

- არ ვიცი	<b>48</b>	51	54
- სულ	100	100	100
<i>მოხუცთა თავშესაფრებში</i>			
- კარგი	18	9	29
- დამაკმაყოფილებელი	29	25	34
- ცუდი	5	5	4
- არ ვიცი	<b>48</b>	<b>61</b>	<b>33</b>
- სულ	100	100	100

(შეფასება %)

რესპონდენტების შეფასებები შემდეგ დაწესებულებებში არსებული სიტუაციის თაობაზე	საშუალო	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>იძულებით გადაადგილებული პირების კომპაქტური დასახლების ცენტრებში</i>			
- კარგი	9	6	13
- დამაკმაყოფილებელი	32	25	41
- ცუდი	10	12	7
- არ ვიცი	<b>49</b>	<b>57</b>	<b>39</b>
- სულ	100	100	100
<i>თავშესაფრებში</i>			
- კარგი	10	5	16
- დამაკმაყოფილებელი	24	19	30
- ცუდი	6	7	6
- არ ვიცი	<b>60</b>	<b>69</b>	<b>48</b>
- სულ	100	100	100
<i>ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში</i>			
- კარგი	3	2	4
- დამაკმაყოფილებელი	18	14	23
- ცუდი	14	14	13
- არ ვიცი	<b>65</b>	<b>70</b>	<b>60</b>
- სულ	100	100	100

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია, რომლის შესაბამისადაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ზემოთხსენებულ დაწესებულებებში ადამიანთა მიმართ დამოკიდებულებაზე და მოპყრობაზე. ეს განსაკუთრებით იმ დაწესებულებების მიმართაა მართებული, სადაც მოთავსებული კონტინგენტი სპეციალურ მზრუნველობას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფსიქიატრიული დაწესებულებები და თავშესაფრები არაა მრავალრიცხოვანი, ამიტომ გრკვეულწილად ინფორმაციის ნაკლებობა გასაგებია. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარმა არ იცის თუ რა მდგომარეობაა იძულებით გადაადგილებული პირების კომპაქტური დასახლების ცენტრებში და მოხუცთა თავშესაფრებში ან ადამიანები რა პირობებში იმყოფებიან. სასჯელაღსრულებისა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმირებულობის დონე ასევე დაბალია.

რესპონდენტების დაახლოებით ნახევარს არ შეეძლო თავისი მოსაზრების გამოხატვა, ხოლო ნახევარმა მეტ-ნაკლებად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები.

ასევე საინტერესოა, რომ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონების მოსახლეობა უკეთაა ინფორმირებული მოცემულ საკითხზე, ვიდრე ქალაქების მოსახლეობა. ზოგ შემთხვევებში სხვაობა ინფორმირებულობის დონეში საკმაოდ არსებითია.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც კვლევის დროს გამოიკვეთა, ესაა რაიონების მოსახლეობის უფრო პოზიტიური შეფასებები ვიდრე ქალაქის მოსახლეობისა. რაიონების მოსახლეობა ბევრად უფრო პოზიტიურად აფასებს იძულებით გადაადგილებული პირების კომპაქტური დასახლების ცენტრებში, სამზრუნველო დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებში და ბავშვთა სახლებში არსებულ ვითარებას.

არსებითი განსხვავებები რაიონებისა და ქალაქების მოსახლეობის მოსაზრებებს შორის რთული ასახსნელია. შესაძლებელია ერთ-ერთი განმარტებელი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს რაიონებსა და სოფლებში ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ქალაქებში<sup>3</sup>. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო დაბალია რესპონდენტის ოჯახის ცხოვრების დონე და ოჯახის უფროსის ყოველთვიური შემოსავალი, მით უფრო დადებითია რესპონდენტის შეხედულებები ზემოთხსენებულ სახელმწიფო

<sup>3</sup> ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მდგომარეობა აქ ორი პარამეტრის მიხედვით არის შედარებული. პირველი - უმუშევრობა და მეორე – ოჯახის ყოველი წევრის ყოველთვიური შემოსავალი (ლარებში). კვლევის ჩატარების მომენტისთვის ქალაქში მცხოვრები რესპონდენტების 41% და სოფლებში მცხოვრები რესპონდენტების 45% უმუშევარი იყო. ანუ საშუალოდ ინტერვიუების მომენტისთვის 15-74 წლის ასაკობრივი ჯგუფის გამოკითხულებიდან საქართველოს მოსახლეობის 43% უმუშევარი იყო. რაიონების მოსახლეობის 73%-მა და ქალაქების მოსახლეობის 68%-მა მოგვაწოდა ინფორმაცია მათი შემოსავლების თაობაზე.

რესპონდენტების ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი ოჯახის თითო წევრზე

(შეფასება %-ებში)

რესპონდენტების ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი ოჯახის თითო წევრზე (ლარებში)	საშუალო ეროვნული მაჩვენებელი	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
30 ლარამდე	14	7	22
31 - 60 ლარამდე	16	13	19
61 - 90 ლარამდე	14	15	14
91-150 ლარამდე	14	16	12
150 ლარზე მეტი	12	17	6
არ უპასუხა	30	32	27
სულ ოჯახზე	100	100	100

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობაში უმუშევართა წილი დაახლოებით ერთნაირი იყო. იმავდროულად, სოფლის მოსახლეობის შემოსავალი ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ქალაქის მოსახლეობის შემოსავალი.




დაწესებულებებში არსებული სიტუაციის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ეს უბრალოდ ჩვენი ვარაუდი, ანუ ჰიპოთეზაა და ნამდვილად ვერ ჩაითვლება ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მოსაზრებებს შორის არსებითი განსხვავებების განმაპირობებელ ერთადერთ მიზეზად.




რაიონების მოსახლეობა ბევრად უკეთ იყო ინფორმირებული იძულებით გადაადგილებული პირების კომპაქტური დასახლების ცენტრებში, მოხუცთა თავშესაფრებში და ბავშვთა სახლებში ადამიანების მიმართ მოპყრობის თაობაზე. სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში (საპატიმროებში) არსებული ვითარების შესახებ ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეში სხვაობა არ გამოვლენილა.

საქართველოს მოსახლეობის აზრით სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებული ვითარება ყველაზე ცუდია. რესპონდენტების 34%-ს (ქალების 32%-ს და კაცების 37%-ს) მიაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობის ადგილებში სიტუაცია ცუდია, 16%-ს მიაჩნია რომ იგი დამაკმაყოფილებელია, ხოლო 2%-ს მიაჩნია რომ ვითარება კარგია. მამაკაცებსა და ქალებს შორის, ან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არსებითი სხვაობები არ გამოვლენილა.




ციხეებსა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებული ვითარება რესპონდენტების მიერ ყველაზე უფრო ნეგატიურად იქნა შეფასებული.

როდესაც მხოლოდ იმ პირების პასუხები შევაფასეთ, რომლებსაც თავისი დამოკიდებულება გამოხატეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, შემდეგი სურათი მივიღეთ პასუხების დისტრიბუციის მიხედვით:









რესპონდენტებმა, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი მოსაზრების გამოხატვა ცხეებსა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებთან დაკავშირებით შემდეგი პასუხები გასცეს მოცემულ შეკითხვას:

როგორ ექცევიან ადამიანებს ...

	... სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?	... წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში?
- კარგად	4%	4%
- დამაკმაყოფილებლად	39%	30%
- ცუდად	57%	66%
სულ	100%	100%

აღსანიშნავია, რომ წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში სიტუაცია უფრო ნეგატიურად იქნა შეფასებული, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. შესაძლებელია მოსახლეობისთვის უკეთაა ცნობილი წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, ვიდრე ციხეებში არსებული მდგომარეობა.

#### 4.2. პატიმრების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოსაზრებები

წინა ნაწილში განხილული იყო რესპონდენტების მოსაზრებები საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და წინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ამასთანავე გამოვლენილი იქნა მათი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი, რომელთა კონტინგენტს სპეციალური მზრუნველობა ესაჭიროება.

სასჯელაღსრულებისა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებების უფრო ღრმა ანალიზის მიზნით შევეცადეთ შეგვედარებინა იმ ადამიანთა აზრები, რომლებსაც შეხება ჰქონიათ ასეთ დაწესებულებებთან იმ ადამიანების მოსაზრებებთან, ვისაც პირადად არ გამოუცდიათ თავისუფლების აღკვეთა.

კვლევის ერთერთი მიზანი იყო საზოგადოების დამოკიდებულების გამოვლენა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისადმი. ამ მიზნით ჩვენ კითხვარში რამოდენიმე შეკითხვა შევიტანეთ სხვადასხვა რედაქციით, რათა ამ საკითხზე უფრო ამომწურავი პასუხი მიგვეღო.

დამატებითი შეკითხვები საპყრობილეებისა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებების თაობაზე შემდეგი რედაქციით იყო მოცემული: “გაქვთ წარმოდგენა თუ რა მდგომარეობაში არიან საქართველოს საპყრობილეებში პატიმრები?” და “თქვენი აზრით როგორ ექცევიან პატიმრებს საპყრობილეებში?” (74-ე კითხვა)



ცხრილი 4.3. გაქვთ წარმოდგენა თუ რა მდგომარეობაში არიან საქართველოს ციხეებში პატიმრები?

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ	საქართველოში პატიმრების მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
---	--	---	--

პატიმრობა	პატიმრობა		
43%	68%	“კარგად ინფორმირებული” + “შეტ-ნაკლებად ინფორმირებული”	17%
58%	32%	”არ ვარ კარგად ინფორმირებული” + “არ ვიცი”	83%

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

როგორც მოსალოდნელი იყო ცხრილი ადასტურებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეეხება ჰქონიათ პენიტენციურ სისტემასთან უკეთ შეუძლიათ იქ არსებული ვითარების შეფასება. ეს განსკუთრებით მართებულია იმ რესპონდენტების შემთხვევაში, რომლებიც ციხეებში ახლახანს იმყოფებოდნენ, ანუ ბოლო 4 წლის განმავლობაში.



როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ასახული პატიმრებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეკითხვაზე რამოდენიმე პასუხი იყო გამზადებული, საიდანაც რესპონდენტებს არჩევანის გაკეთება შეეძლო.

**ცხრილი 4.3. თქვენი აზრით როგორ ეპყრობიან პატიმრებს საქართველოს ციხეებში? (77-ე კითხვა)**

(შეფასება %)

ციხეებში პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებული მოსაზრებები	საშუალო	15 -24 წლის	25 – 44 წლის	45 წლის და ზემოთ
- კარგად	6	6	4	9
- ყოველთვის კარგად არ ეპყრობიან	16	15	20	13
- არაადამიანურად	14	12	14	15
- არ გამაჩნია ინფორმაცია	64	67	62	63
- სულ	100	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

ზემოთ მოყვანილი შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული საქართველოს ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე. რაც უფრო კონკრეტული იყო ჩვენი შეკითხვები ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე, მით უფრო ნაკლებ რესპონდენტს შეეძლო ამ სიტუაციაზე თავისი შეფასებების გაზიარება.

ჩვენ შევეცადეთ პატიმრებისადმი დამოკიდებულების თაობაზე შეფასებები რესპონდენტების ასაკთან დაგვეკავშირებინა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტების მოსაზრებებს შორის არსებითი განსხვავებები არ გამოკვეთილა. უფრო ახალგაზრდა რესპონდენტები, ანუ 25 წელზე ნაკლები ასაკის, შედარებით უფრო ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული პატიმრებისადმი დამოკიდებულების თაობაზე, ვიდრე შუა ხნის რესპონდენტები. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ 4-5%-იანი სხვაობა ვერ ჩაითვლება მნიშვნელოვან სხვაობად. ეს უბრალოდ სუსტად გამოკვეთილი, მაგრამ მაინც შესამჩნევი ტენდენციაა.

იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაგვეკონკრეტებინა ადამიანთა დამოკიდებულება, ჩვენ გავაანალიზეთ იმ რესპონდენტების მოსაზრებები, რომლებსაც თავად ჰქონდათ პატიმრობის გამოცდილება.

**ცხრილი 4.4. თქვენი აზრით როგორ ეპყრობიან საქართველოს ციხეებში პატიმრებს? (77-ე კითხვა)**

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი მოპყრობის თვალსაზრისით მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
6%	10%	“კარგი“	6%
33%	20%	“მოპყრობა ყოველთვის	15%

		არ არის კარგი”	
30%	43%	“არაადამიანური”	11%
31%	27%	“არ ვიცი”	68%

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

შეფასებების შედარება იმ ვარაუდზე დაყრდნობით ხორციელდებოდა, რომ რესპონდენტებს, რომლებსაც პატიმრობა საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი უკეთ შეუძლიათ ციხეებში არსებული მდგომარეობის შეფასება. ეს დადასტურდა კიდევაც მიღებული შედეგებით. იმ რესპონდენტების 68%-მა, რომლებსაც საპრობილემო ეოფნის პირადი გამოცდილება არ გააჩნდათ არ შეეძლოთ საკუთარი აზრის გამოხატვა ციხეებში პატიმრების მიმართ დამოკიდებულების თაობაზე. ასეთი რესპონდენტების მხოლოდ 27-31% გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

იმავედროულად აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც საპრობილემო ეოფნის პირადი გამოცდილება გააჩნდათ, ბევრად უფრო უარყოფითი მოსაზრებები ჰქონდათ საპრობილემოებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ვიდრე დანარჩენ რესპონდენტებს. იმ რესპონდენტების 43%-მა, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა, განაცხადეს, რომ პატიმრებისადმი მოპყრობა “არაადამიანურია” და მხოლოდ 10%-მა განაცხადა, რომ პატიმრებისადმი დამოკიდებულება “კარგია”.

სიტუაციის უფრო დეტალურად და ღრმად შესწავლის მიზნით ჩვენ ვთხოვეთ რესპონდენტებს შეეფასებინათ საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი დამოკიდებულება. ამ მიზნით რესპონდენტებს მივაწოდეთ მზა პასუხების ჩამონათვალი და შემდგომ განვახორციელეთ ამ პასუხების რანჟირება იმისდა მიხედვით, თუ მიუღებელი მოპყრობის რა ფორმა იყო ყველაზე ხშირად ნახსენები.

**ცხრილი 4.5.** თუ მიგაჩნიათ, რომ საქართველოს საპრობილემოებში პატიმრებისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ მიუღებელია ან არაადამიანური, მიუთითეთ რაში გამოიხატება ასეთი დამოკიდებულება (78-ე კითხვა)  
(შეფასება %)

პატიმრებისადმი მიუღებელი დამოკიდებულების ფორმები	საშუალო	ქალი	მამაკაცი
<i>პატიმრებს სცემენ</i>			
- ნამდვილად აქვს ადგილი	35	39	32
- ალბათ აქვს ადგილი	53	48	56
- არა აქვს ადგილი	4	3	5
- არ ვიცი	8	10	7
- სულ	100	100	100
<i>პატიმრებს ამცირებენ</i>			
- ნამდვილად აქვს ადგილი	34	39	32
- ალბათ აქვს ადგილი	48	48	56
- არა აქვს ადგილი	5	3	5

- არ ვიცი	13	10	7
- სულ	100	100	100
<i>პატიმრებს ფულს სძალავენ</i>			
- ნამდვილად აქვს ადგილი	<b>18</b>	20	16
- ალბათ აქვს ადგილი	36	39	33
- არა აქვს ადგილი	14	8	18
- არ ვიცი	32	33	33
- სულ	100	100	100
<i>ავადმყოფი პატიმრებისთვის არ არის ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება</i>			
- ნამდვილად აქვს ადგილი	<b>18</b>	16	17
- ალბათ აქვს ადგილი	35	30	32
- არა აქვს ადგილი	18	19	19
- არ ვიცი	29	35	32
- სულ	100	100	100
<i>პატიმრები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან</i>			
- ნამდვილად აქვს ადგილი	<b>12</b>	9	10
- ალბათ აქვს ადგილი	28	29	28
- არა აქვს ადგილი	12	23	19
- არ ვიცი	48	39	43
- სულ	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

ცხრილში მოყვანილია იმ რესპონდენტების შეფასებები, რომლებმაც უკვე გასცეს პასუხი შეკითხვაზე პატიმრებისადმი მოპყრობის თაობაზე (კითხვა №77) და აარჩიეს პასუხები “ყოველთვის არაა კარგი დამოკიდებულება” ან “არაადამიანური დამოკიდებულება”.

ყველაზე უფრო ხშირად აღინიშნა პატიმრების ცემა და მათი დამცირება. ყველაზე უფრო იშვიათად დასახელდა ისეთი ქმედება, როგორცაა პატიმრებისგან ფულის გამოძალგა, ავადმყოფი პატიმრებისთვის სამედიცინო დახმარების მოუწვდომლობა და სექსუალური ძალადობა.

### **4.3. ციხეებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები**

ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა გამოავლინა, რომ რესპონდენტების დაახლოებით ნახევარს არ გააჩნდა ინფორმაცია საქართველოს ციხეებში, იძულებით გადაადგილებული პირების კომპაქტური დასახლების ცენტრებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ინფორმირებული რესპონდენტების შეფასებები საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების და პატიმართა უფლებების თაობაზე. აქ განხილული იქნება სხვადასხვა საინფორმაციო არხის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ზეგავლენა რესპონდენტებზე და ასევე გაანალიზებული იქნება ის საინფორმაციო წყაროები, რომლებზედაც დაყრდნობით რესპონდენტი თავის მოსაზრებას აყალიბებდა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია რესპონდენტების აზრი საქართველოს ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე. რესპონდენტების მოსაზრებების რანჟირება იმის მიხედვით მოხდა, თუ რომელი ასპექტები იქნა შეფასებული რესპონდენტების მიერ როგორც საშუალოზე უფრო უკეთესი.

**ცხრილი 4.6. როგორ შეაფასებდით საქართველოს ციხეებში არსებულ ვითარებას? (75-ე კითხვა)**

(შეფასება %)

რესპონდენტების მოსაზრებები საქართველოს ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე	საშუალო	ქალი	მამაკაცი
<i>კვება</i>			
- კარგადაა ორგანიზებული	3	3	3
- დამაკმაყოფილებელია	27	20	34
- ცუდადაა ორგანიზებული	24	24	24
- არ ვიცი	46	53	39
- სულ	100	100	100
<i>საცხოვრებელი პირობები</i>			
- კარგადაა ორგანიზებული	3	3	4
- დამაკმაყოფილებელია	25	21	30
- ცუდადაა ორგანიზებული	26	24	27
- არ ვიცი	46	52	39
- სულ	100	100	100
<i>პატიმართა პაემნები ნათესავებთან</i>			
- კარგადაა ორგანიზებული	2	2	2
- დამაკმაყოფილებელია	24	21	28
- ცუდადაა ორგანიზებული	24	22	27
- არ ვიცი	50	55	43
- სულ	100	100	100
<i>პატიმართა სამედიცინო მომსახურეობა</i>			
- კარგადაა ორგანიზებული	2	1	2
- დამაკმაყოფილებელია	22	18	25
- ცუდადაა ორგანიზებული	23	23	24
- არ ვიცი	53	58	49
- სულ	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

შედეგებიდან ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მამაკაცები უკეთესად არიან ინფორმირებული საქართველოს ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე, ვიდრე ქალები. იმავედროულად, მამაკაცები უფრო დადებითად ახასიათებენ საქართველოს საპყრობილებებში არსებულ პირობებს და კვების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას, ვიდრე ქალები. გარდა ამისა, მამაკაცების უფრო მეტ რაოდენობას მიაჩნია, რომ პატიმრების სამედიცინო მომსახურეობა და ნათესავებთან პაემნები კარგადაა ორგანიზებული ან მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შეჯამების სახით შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ქალები ნაკლებად არიან ინფორმირებული ციხეებში არსებული ვითარების თაობაზე, ვიდრე მამაკაცები



მაგრამ ისინი უფრო კრიტიკულად არიან განწყობილი ამასთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცები.

შედარების მიზნით ჩვენ ასევე შევიმუშავეთ ცხრილი, სადაც ასახულია იმ რესპონდენტების მოსაზრებები, რომლებსაც პირადად ჰქონიათ გამოცდილი თავისუფლების აღკვეთა.

**ცხრილი 4.7. როგორ შეაფასებდით საქართველოს საპრობლემებში არსებულ ვითარებას? (75-ე კითხვა)**

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	საქართველოს ციხეებში კვების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
7%	7%	„კარგადაა ორგანიზებული“	2%
43%	40%	„დამაკმაყოფილებელია“	25%
24%	39%	„ცუდადაა ორგანიზებული“	23%

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	საქართველოს ციხეებში საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
7%	7%	„კარგადაა ორგანიზებული“	3%
41%	30%	„დამაკმაყოფილებელია“	24%
31%	50%	„ცუდადაა ორგანიზებული“	24%

რესპონდენტები, რომლებსაც 5	რესპონდენტები, რომლებსაც	საქართველოს ციხეებში ნათესავეებთან პაემნების	რესპონდენტები, რომლებსაც
----------------------------	--------------------------	--	--------------------------



წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
3%	6%	„კარგადაა ორგანიზებული“	1%
37%	27%	„დამაკმაყოფილებელია“	23%
38%	52%	„ცუდადაა ორგანიზებული“	22%

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	საქართველოს ციხეებში სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
3%	5%	„კარგადაა ორგანიზებული“	1%
34%	27%	„დამაკმაყოფილებელია“	21%
37%	49%	„ცუდადაა ორგანიზებული“	21%

**წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009**

ცხრილებში არ არის ასახული იმ რესპონდენტების მოსაზრებები, რომლებმაც არ უპასუხეს ამ შეკითხვებს. რესპონდენტები, რომლებსაც თავად გამოუცდიათ პატიმრობა, ყველაზე უფრო დადებითად ახასიათებენ კვების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას. ამ რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა (47-50%) განაცხადა, რომ კვება “კარგადაა ორგანიზებული” ან “დამაკმაყოფილებელია”.

საცხოვრებელი პირობების შეფასებისა და ნათესავებთან პაემნების შეფასების დროს საკმაოდ დიდი განსხვავებები გამოვლინდა იმ რესპონდენტების მოსაზრებებში, რომლებსაც თავად გამოუცდიათ პატიმრობა (ბოლო პერიოდში ან მანამდე). ის რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო წლების განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილი. ამ ტენდენციის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად შეიძლება. პირველ რიგში, შესაძლებელია ვითარება რეალურად გაუარესდა, რადგანაც ბოლო წლების განმავლობაში პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ციხეები

გადატვირთულია, რის გამოც შესაძლებელია პირობები გაუარესდა. გარდა ამისა, შეფასებებში სხვაობა ასევე შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ იმ ადამიანების მეხსიერებაში, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში იყვნენ დაპატიმრებული, მოგონებები ამ გამოცდილების თაობაზე საკმაოდ ახალია, ხოლო იმ რესპონდენტების მოგონებები, რომლებიც 5 და მეტი წლის წინ იყვნენ დაპატიმრებული, ისეთი ცხადი და ახალი აღარაა. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ადამიანებს ახასიათებთ უარყოფითი მოგონებების უფრო მაღე დავიწყება, ვიდრე დადებითი მოგონებებისა.

#### 4.4. პატიმართა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები

კვლევაში ცალკე შეკითხვა იყო გათვალისწინებული საქართველოს საპრობილევში პატიმრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მოცემული რანჟირება.




ცხრილი 4.8. შეაფასეთ პატიმრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებული ვითარება (76-ე კითხვა)


პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა	საშუალო	(შეფასება %)	
		ქალი	მამაკაცი
<i>გახანჩვრების უფლება</i>			
- კარგადაა დაცული	<b>4</b>	4	5
- დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა	<b>20</b>	17	24
- ცუდადაა დაცული	24	21	27
- არ ვიცი	52	58	44
- სულ	100	100	100
<i>იურიდიული დახმარების მიღების უფლება (მისაწვდომობა)</i>			
- კარგადაა დაცული	<b>4</b>	4	4
- დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა	<b>19</b>	16	22
- ცუდადაა დაცული	22	20	24
- არ ვიცი	55	60	50
- სულ	100	100	100
<i>სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება</i>			
- კარგადაა დაცული	<b>3</b>	2	3
- დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა	<b>17</b>	15	19
- ცუდადაა დაცული	24	22	27
- არ ვიცი	56	61	51
- სულ	100	100	100

წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

აქაც გამოვლინდა ძირითადი ტენდენცია, რომ მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია. რესპონდენტების 52-56%-ს არ შეუძლია პასუხის გაცემა პატიმრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებული ვითარების შესახებ შეკითხვაზე. ის რესპონდენტები, რომლებმაც შეაფასეს ეს მდგომარეობა შეიძლება ორ თანაბარ ჯგუფად გავყოთ. ანუ რესპონდენტების ნაწილი, რომლებიც თვლიან, რომ პატიმართა უფლებები კარგადაა დაცული და რესპონდენტები, რომლებიც თვლიან რომ პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

არსებითი განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების რეიტინგს შორის, ისევე როგორც ქალაქების ან სოფლების მოსახლეობის მოსაზრებებს შორის არ გამოვლენილა. გარდა ამისა, მოსაზრებებში სხვაობა არც ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოიკვეთა.





საქართველოს მოსახლეობის პასუხების შეჯამების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ შემთხვევაშიც მოსახლეობა არ არის საკმარისად ინფორმირებული მოცემული საკითხის თაობაზე. რესპონდენტების დაახლოებით ნახევარს არ გააჩნია მოსაზრება მოცემულ საკითხზე. რესპონდენტების მეორე ნახევარი, რომლებმაც თავისი შეფასებები გაგვიზიარეს ასევე დაახლოებით ორ ნაწილად გაიყო. რესპონდენტების ნახევარმა დადებითად შეაფასა პატიმრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ხოლო მეორე ნახევარმა უარყოფითად შეაფასა იგი.

ქვემოთ მოცემულია იმ რესპონდენტების რეიტინგი, რომლებსაც ციხეებში ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნის პირადი გამოცდილება გააჩნიათ.

**ცხრილი 4.9. შეაფასეთ საქართველოში პატიმრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებული ვითარება (76-ე კითხვა)**

		(შეფასება %)	
რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	გასაჩივრების უფლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
41%	29%	„კარგადაა დაცული“ + „დამაკმაყოფილებელი“	24%
40%	55%	„ცუდადაა დაცული“	21%
19%	16%	„არ ვიცი“	55%

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ	იურიდიული მომსახურების მისაწვდომობის უფლების თვალსაზრისით არსებული	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა

პატიმრობა	პატიმრობა	მდგომარეობის შეფასება	
28%	31%	„კარგადაა დაცული“ + „ დამაკმაყოფილებელი “	22%
41%	49%	„ცუდადაა დაცული“	19%
31%	20%	„ არ ვიცი “	59%

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	სამართლიანი და მიუკერძოებელი გასამართლების უფლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
26%	20%	„კარგადაა დაცული“ + „ დამაკმაყოფილებელი “	19%
41%	60%	„ცუდადაა დაცული“	21%
33%	20%	„ არ ვიცი “	60%

**წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009**

ის რესპონდენტები, რომლებსაც პირადად გამოუცდიათ პატიმრობა ყველაზე უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილი სასამართლოების მიმართ. ამ რესპონდენტების 60%-მა განაცხადა, რომ პატიმრების სამართლიანი და მიუკერძოებელი გასამართლების უფლება არ არის კარგად დაცული. გასაჩივრების უფლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა ნეგატიურად შეფასდა ბოლო პერიოდში პატიმრობის პირადი გამოცდილების მქონე რესპონდენტების 55%-ის მიერ, ხოლო ასევე კრიტიკულად იყო განწყობილი იმ რესპონდენტების 40%, რომლებსაც ადრე ჰქონიათ პატიმრობის გამოცდილება.

#### 4.5. ინფორმაციის სანდოობა

კვლევაში ნათლად გამოავლინა ზოგადი ტენდენცია, რომლის შესაბამისადაც მოსახლეობას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული მდგომარეობისა და პატიმრებისადმი მოპყრობის თვალსაზრისით არსებული ვითარების თაობაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გაგვეანალიზებინა ინფორმაციის წყაროების სანდოობა და შეგვესწავლა, თუ რომელი წყაროები აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას ციხეებში არსებული მდგომარეობის თაობაზე და რამდენად ენდობა მოსახლეობა სხვადასხვა საინფორმაციო არხებს.

ცხრილში მოცემულია საინფორმაციო წყაროებისა და მათი სანდოობის რანჟირება. რაც უფრო სანდოა ინფორმაციის წყარო, მით უფრო ზემოთ არის დასახელებული ეს წყარო ცხრილში.

ცხრილი 4.10. რა სახის ინფორმაციას ენდობთ, რომელიც ციხეების თაობაზე მდგომარეობას აღწერს? (79-ე კითხვა)

ინფორმაციის სანდოობა	საშუალო	(შეფასება %)	
		ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>მეგობრებისა და ნაცნობებისაგან მიღებული ინფორმაცია</i>			
- სანდოა	<b>84</b>	82	87
- არ არის სანდო	5	4	5
- არ ვაქცევ ყურადღებას	4	6	3
- არ ვიცი	7	8	5
- სულ	100	100	100
<i>გათავისუფლებული პატიმრების მიერ მოყოლილი ისტორიები</i>			
- სანდოა	<b>83</b>	<b>78</b>	<b>89</b>
- არ არის სანდო	4	4	5
- არ ვაქცევ ყურადღებას	5	8	2
- არ ვიცი	8	10	4
- სულ	100	100	100
<i>ოჯახის სხვა წევრებისგან მიღებული ინფორმაცია</i>			
- სანდოა	<b>70</b>	<b>61</b>	<b>83</b>
- არ არის სანდო	3	3	3
- არ ვაქცევ ყურადღებას	10	13	6
- არ ვიცი	17	23	8
- სულ	100	100	100
<i>ტელევიზიიდან მიღებული ინფორმაცია</i>			
- სანდოა	<b>65</b>	<b>59</b>	<b>74</b>
- არ არის სანდო	23	25	19
- არ ვაქცევ ყურადღებას	5	6	3
- არ ვიცი	7	10	4
- სულ	100	100	100
<i>გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მიღებული ინფორმაცია</i>			
- სანდოა	<b>54</b>	<b>49</b>	<b>62</b>
- არ არის სანდო	18	24	11

- არ ვაქცევ ყურადღებას	19	16	23
- არ ვიცი	9	11	4
- სულ	100	100	100

(შეფასება %)

ინფორმაციის სანდოობა	საშუალო	ქალაქების მოსახლეობა	სოფლების მოსახლეობა
<i>რადიოთი მიღებული ინფორმაცია</i>			
- სანდოა	<b>45</b>	<b>40</b>	<b>53</b>
- არ არის სანდო	17	19	12
- არ ვაქცევ ყურადღებას	28	25	31
- არ ვიცი	10	16	4
- სულ	100	100	100
<i>ოფიციალური წყაროებიდან და ციხეების ადმინისტრაციისგან მიღებული</i>			
- სანდოა	<b>43</b>	<b>36</b>	<b>52</b>
- არ არის სანდო	26	26	26
- არ ვაქცევ ყურადღებას	15	17	12
- არ ვიცი	16	21	10
- სულ	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ნამდვილად დომინირებს ინფორმაციის არაფორმალური არხები, ანუ მეგობრებისგან, ნაცნობებისგან და ოჯახის წევრებისგან მიღებულ ინფორმაციას მოსახლეობა სრულად ენდობა, მაშინ როდესაც ოფიციალური წყაროებიდან და მედიიდან მიღებული ინფორმაცია არ იწვევს ნდობას.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ასევე ციხეებიდან გათავისუფლებული პატიმრების მონათხრობს ენდობა. ეს საკმაოდ მრავლისმთქმელი შედეგია. რესპონდენტების 83% პატიმრების მონათხრობ ისტორიებს ენდობა. შესაბამისად, ციხეებიდან გათავისუფლებული პატიმრები არ აღიქმებიან საქართველოს მოსახლეობის მიერ როგორც უბრალო სამართალდამრღვევები ან საზოგადოებისგან გარიყული წევრები, არამედ ისინი ინფორმაციის სანდო წყაროდ ითვლებიან. ამ ფაქტის ინტერპრეტაციისთვის საჭიროა საქართველოს კულტურული კონტექსტისა და ყოფილი პატიმრების სოციალური კონტექსტის უკეთ გაცნობიერება, ისევე როგორც საზოგადოების ფასეულობების უკეთ შესწავლა.

საინფორმაციო საშუალებების სანდოობამ სხვაგვარი შეფასება დაიმსახურა. კერძოდ, ტელევიზია საინფორმაციო საშუალებებს შორის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს, მას პრესა მოსდევს, ხოლო რადიოს საქართველოში ყველაზე ნაკლებად ენდობიან. რადიოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისადმი ნდობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ოფიციალური წყაროებიდან და ციხეების ადმინისტრაციებიდან მიღებული ინფორმაციისადმი ნდობა. შესაძლებელია რადიოსადმი ასეთ დაბალ ნდობას ასევე ის გარემოება განაპირობებს, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის იგი მიუწვდომელია დაბალი დაფარვის გამო. კვლევის შესაბამისად რესპონდენტების 28%, ქალაქების მოსახლეობის 25% და სოფლების მოსახლეობის 31% არ უსმენს რადიოს.



კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მნიშვნელოვანი ტენდენცია, კერძოდ ის რომ რაიონების მოსახლეობა ბევრად უფრო ენდობა მედიას, ვიდრე ქალაქების მოსახლეობა. საინტერესოა, რომ საინფორმაციო არხებისადმი რაიონებისა და ქალაქების მოსახლეობის დამოკიდებულება ერთნაირია და ორივე შემთხვევაში ტელევიზია ყველაზე უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ხოლო რადიო კი ყველაზე ნაკლებს.

ჩვენ ცალკე შევისწავლეთ თუ რომელ საინფორმაციო არხებს ენდობიან ის ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრი ან ნათესავი დაპატიმრებული იყო კვლევის განხორციელების პერიოდში. ამ მიზნით მათ შემდეგი შეკითხვა დაუუსვით: *“რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაა იმ საპრობლემაში, სადაც თქვენი ოჯახის წევრი/ნათესავი იმყოფება?” (90-ე კითხვა)*

ყველა რესპონდენტების 6.5%-მა (78 ადამიანი) აღნიშნა, რომ მათი ოჯახის წევრი ან ნათესავი დაპატიმრებული იყო კვლევის ჩატარების მომენტისთვის. მათ დასკვნებზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს სანდოობის თაობაზე. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტების ასეთი მცირე რაოდენობა არ იძლევა ამ საკითხის საფუძვლიანად გაანალიზების და ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას.

კვლევაში დასახელებული ინფორმაციის წყაროებს შორის ყველაზე სანდო წყაროდ პატიმრებთან სატელეფონო საუბრები დასახელდა. პატიმრების მიერ გაგზავნილი წერილები უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ დასახელდა, ვიდრე სატელეფონო საუბრები. ციხის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ნაკლებად მნიშვნელოვნად, ან სრულიად უმნიშვნელოდ იქნა შეფასებული.

## 5. მართლმსაჯულების პროცესთან დაკავშირებული მოსაზრებები

რესპონდენტებს სასამართლოების სანდოობა უნდა შეეფასებინათ. პირველ რიგში მათ უნდა გამოეხატათ თავისი აზრი სასამართლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების სერიოზულობის თვალსაზრისით. რესპონდენტებს შემდეგ შეკითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი: *“რამდენად დამახასიათებელია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები საქართველოს სასამართლოებისთვის და მართლმსაჯულებისთვის?” (62-ე კითხვა)* შეფასებების რანჟირება 5.1. ცხრილშია მოცემული. კერძოდ, მასში ასახულია, თუ რესპონდენტების რამდენმა პროცენტმა შეაფასა პრობლემა როგორც “ძალიან მნიშვნელოვანი”.

**ცხრილი 5.1. საქართველოს სასამართლოებთან დაკავშირებული მოსაზრებები**  
(შეფასება %)

მართლმსაჯულების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შეფასება	ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა		საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა		მნიშვნელოვანი პრობლემა		არ ვიცი	
	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები



უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავედ სცნობენ	44	50	24	24	7	8	25	18
არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ხშირად თავისუფლების აღკვეთას უსჯიან	43	47	25	28	7	7	25	18
ადამიანებს ციხეებში უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვის სვამენ	39	41	26	33	8	8	27	18
სასამართლო სისტემა პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული	39	42	19	24	7	7	35	27
მოსამართლეები კორუმპირებულები არიან	39	39	18	21	10	12	33	28
განაჩენი ძალიან მკაცრია და არ არის ჩადენილი დანაშაულის თანაბარ ზომიერი	34	37	26	31	9	10	31	22
კანონები არ არის სამართლიანი	33	39	25	28	12	10	30	23
ჯარიმები ძალიან ხშირად არის დაკისრებული	23	25	22	28	24	24	31	23

**წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009**

რესპონდენტებმა ყოველი პრობლემის რანჟირება ცალკე განახორციელეს შემოთავაზებული შკალის მიხედვით. ყოველი პრობლემისთვის მინიჭებული ქულების ჯამი ჰორიზონტალურად 100%-ს შეადგენს.

რესპონდენტების დამოკიდებულების გამოვლენისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი დამახასიათებელი პრობლემების განსაზღვრის მიზნით პირველი ორი სვეტი ერთად უნდა გაანალიზდეს. პასუხები “ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა” და “საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა” უნდა დაჯამდეს, რათა გამოვლენილი იქნას, თუ საქართველოს სასამართლოებს რა პრობლემები ახასიათებთ რესპონდენტების აზრით.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა საკმაოდ ძლიერი ნეგატიური ტენდენცია სასამართლოებთან მიმართებაში. რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულ და მკაცრ შეფასებებს აძლევენ საქართველოს მართლმსაჯულების პროცესს. რესპონდენტების დაახლოებით ორი მესამედის აზრით სასამართლოები უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავედ სცნობენ, ბავშვებს და არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ხშირად თავისუფლების აღკვეთას უსჯიან და ადამიანებს ციხეებში უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვის სვამენ. მამაკაცები ბევრად უფრო კრიტიკულად არიან განწყობილი სასამართლოების მიმართ ვიდრე ქალები.

რესპონდენტების დაახლოებით ნახევარს მიაჩნია, რომ სასამართლო სისტემა პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული, მოსამართლეები კორუმპირებულები არიან, განაჩენი ძალიან მკაცრია და არ არის ჩადენილი დანაშაულის თანაბარზომიერი და კანონები არ არის სამართლიანი. აქ აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო კრიტიკულად არიან განწყობილი ამ პრობლემებთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცები.

საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას სასამართლო სისტემისადმი შეიძლება რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს: პირველ რიგში ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება ნამდვილად პრობლემატურია და ადამიანები არ ენდობიან მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებს და ზოგადად სისტემას. მეორე ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობას ძალიან მწირი ინფორმაცია გააჩნია რეალური ვითარების თაობაზე. ეს საკითხები არ არის ხშირი განსჯის საგანი, რაც ხელს უწყობს ჭორების გავრცელებას, მითქმა-მოთქმას და საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება მედიის მეშვეობითაა შესაძლებელი. თუ მედიაში საკმარისად არ არის გაშუქებული მოცემული პრობლემა, ინფორმაციის არაფორმალური წყაროები უფრო დომინანტური ხდება, რაც თავის მხრივ ჭორებსა და მითქმა-მოთქმის გავრცელებას უწყობს ხელს, რის გამოც ფაქტების არასწორი აღქმა ყალიბდება. თუ ადამიანებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია, მათ ისეთი შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ გარკვეული სოციალური ასპექტების თაობაზე მათგან ინფორმაციას მაღავენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვითარება უარესდება. შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უწყობს საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

საზოგადოების დამოკიდებულება სასამართლო სისტემისადმი ნათლად ჩანს რესპონდენტების პასუხებიდან შეკითხვაზე თუ რამდენად გააჩნიათ რესპონდენტებს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავედ სცნობენ.

**ცხრილი 5.2 თქვენ პირადად იცით ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანებს სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევა დამნაშავედ? (92-ე კითხვა)**

(შეფასება %)

მოსაზრებები ადამიანების უსამართლოდ მსჯავრდებასთან დაკავშირებით	საშუალო	ქალები	მამაკაცები
დიახ, მრავალი ასეთი შემთხვევაა	13	13	13
ხანდახან აქვს ადგილი	26	23	29
იშვიათადაა აქვს ადგილი	11	10	11
ერთი ასეთი შემთხვევის თაობაზეც არ გამიგია	50	54	47
სულ	100	100	100

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

რესპონდენტების დაახლოებით ერთმა მესამედმა, აქედან მამაკაცების 42%-მა განაცხადა, რომ გააჩნიათ ინფორმაცია ადამიანების უსამართლოდ მსჯავრდების თაობაზე. რეალური შემთხვევების თაობაზე ინფორმაცია ნამდვილად ერთერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ საზოგადოება კრიტიკულადაა განწყობილი მართლმსაჯულების პროცესისადმი.

მნიშვნელოვანი განსხვავება მამაკაცებისა და ქალების, ან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტების მოსახრებებს შორის არ გამოვლენილა. ასევე არაა განსხვავება ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის დამოკიდებულებას შორის.

ინტერვიუების ჩატარების პროცესში პირდაპირ ვეკითხებოდით რესპონდენტებს: *როდესმე ყოფილხართ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში?* ამ კითხვასთან დაკავშირებით სამი არჩევანი იყო შეთავაზებული: “არასოდეს არ ვყოფილვარ”, და ორი არჩევანი იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ყოფილა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ანუ, “დიახ, ვყოფილვარ ბოლო 4 წლის განმავლობაში” და “დიახ, ვყოფილვარ ხუთ წელზე მეტი ხნის წინ”. ბოლო ორი არჩევანი იმისთვის იყო შეთავაზებული, რათა გამოგვევლინა განსხვავება იმ ადამიანების დამოკიდებულებაში, რომლებიც ბოლო 4 წლის განმავლობაში ყოფილან საპრობილევებში და იმ შემთხვევაში, როდესაც ხუთ წელზე მეტი ხნის წინ იყვნენ საპრობილევში.

ყველა გამოკითხულების (1,200 ადამიანი) 90%-მა (1,080 ადამიანი) აღნიშნა, რომ ისინი არასოდეს არ ყოფილან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. რესპონდენტების 4.3%-მა (52 ადამიანი) განაცხადა, რომ ისინი ხუთ წელზე მეტი ხნის წინ იყვნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (51 ადამიანი), ხოლო 1.4%-მა (18 ადამიანი) არ უპასუხა მოცემულ შეკითხვას.

სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ წარმომადგენლობითი კვლევა საშუალებას გვაძლევს გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კითხვარის გარკვეულ შეკითხვებზე რესპონდენტების მცირე ნაწილი, ანუ დაახლოებით 50 ადამიანი პასუხობდა. რესპონდენტების სასჯელადსრულების დაწესებულებებში ყოფნის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული შეკითხვები საშუალებას გვაძლევდა გავგეანალიზებინა რამდენად განსხვავდებოდა იმ ადამიანების პასუხები, რომლებსაც ციხეში ყოფნის პირადი გამოცდილება ჰქონიათ იმ ადამიანების პასუხებისგან, რომლებსაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნდათ.

**ცხრილი 5.3. თქვენ პირადად გაგაჩნიათ ინფორმაცია იმ შემთხვევების თაობაზე, როდესაც ადამიანი უსამართლოდ იყო მიჩნეული დამნაშავედ სასამართლოს მიერ? (92-ე შეკითხვა)**

რესპონდენტები, რომლებსაც 5 წელზე მეტი ხნის წინ პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტები, რომლებსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში პირადად გამოუცდიათ პატიმრობა	რესპონდენტების მოსაზრებები ადამიანების უსამართლოდ მსჯავრდებასთან დაკავშირებით	რესპონდენტები, რომლებსაც პირადად არ გამოუცდიათ პატიმრობა
54%	80%	“ბევრი ასეთი შემთხვევის თაობაზე გამიგია” + “ხანდახან აქვს ადგილი”	35%
40%	14%	„არ ვიცი ასეთი ერთი	54%

		შემთხვევის თაობაზე კი”	
--	--	---------------------------	--

*წყარო: ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009*

პასუხებმა ნათლად გამოავლინა, რომ რესპონდენტები, რომლებიც ბოლო პერიოდის განმავლობაში ყოფილან საპყრობილეში მიიჩნევენ, რომ საქართველოს სასამართლოები ძალიან ხშირად უსჯიან პატიმრობას უდანაშაულო ადამიანებს. რესპონდენტების 80%-მა განაცხადა, რომ მათ იციან ისეთი შემთხვევების თაობაზე, როდესაც ადამიანებს უსამართლოდ დებენ მსჯავრს და მხოლოდ 14%-მა განაცხადა, რომ მათ ასეთი შემთხვევების შესახებ არ გაუგიათ.

იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც უფრო დიდი ხნის წინ გამოუცდიათ პატიმრობა 54%-მა განაცხადა, რომ იციან უსამართლოდ დაპატიმრების შემთხვევების თაობაზე. იმ რესპონდენტების 35%-, რომლებსაც პირადად პატიმრობა არ გამოუცდიათ მიაჩნიათ, რომ უსამართლოდ დაპატიმრებას ადგილი აქვს.

ეს პასუხები არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისეთი გზით, რომ იმ ადამიანების მოსაზრებები, რომლებსაც პირადად გამოუცდიათ პატიმრობა აბსოლუტური სიმართლეა და მხოლოდ მათ აზრს უნდა დავეყრდნოთ როდესაც საქართველოში უსამართლოდ მსჯავრდებასთან დაკავშირებულ ვითარებას ვაფასებთ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იმაზე მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების პროცესისთვის დამახასიათებელ პრობლემებზე ყურადღებაა გასამახვილებელი. ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმითიც იყოს განპირობებული, რომ ადამიანებს არ ესმით დაპატიმრების მიზეზები. თუ საზოგადოებისთვის არ არის ნათელი, თუ რატომაა ადამიანი დაპატიმრებული, ეს ხელს უწყობს იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ ზოგადად სისტემა არ არის სამართლიანი და უდანაშაულო ადამიანებს უსჯიან პატიმრობას.

### 6. თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე დამოუკიდებელი ზედამხედველობა

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოს მოსახლეობის აზრით დამოუკიდებელი ზედამხედველობის დამყარება თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე უაღრესად მნიშვნელოვანია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია იმ ინსტიტუტების შეფასება, რომელთა მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი შეფასება უაღრესად მნიშვნელოვანია რესპონდენტების აზრით.

**ცხრილი 6.1. აუცილებელია, რომ დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა და შესაბამისმა ოფიციალურმა პირებმა მონიტორინგი დაამყარონ საქართველოს ციხეებზე? (80-ე კითხვა)**

		(შეფასება %)		
ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მიერ	საშუალო	15 – 24 წლის	25 – 44 წლის	45 და მეტ

დამოუკიდებელი ზედამხედველობის საჭიროების შეფასება				წლის
<i>ომბუდსმენი</i>				
- ნამდვილად საჭიროა	<b>80</b>	76	81	81
- გარკვეულწილად საჭიროა	13	15	14	12
- არ არის საჭირო	1	1	1	1
- არ ვიცი	6	8	4	6
- სულ	100	100	100	100
<i>საქართველოში არსებული ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები</i>				
- ნამდვილად საჭიროა	<b>74</b>	69	76	75
- გარკვეულწილად საჭიროა	15	17	15	14
- არ არის საჭირო	3	2	3	2
- არ ვიცი	8	12	6	9
- სულ	100	100	100	100
<i>საერთაშორისო ორგანიზაციები</i>				
- ნამდვილად საჭიროა	<b>69</b>	64	71	68
- გარკვეულწილად საჭიროა	19	21	18	17
- არ არის საჭირო	4	3	4	4
- არ ვიცი	8	12	7	11
- სულ	100	100	100	100
<i>საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები</i>				
- ნამდვილად საჭიროა	<b>68</b>	61	70	70
- გარკვეულწილად საჭიროა	17	21	16	16
- არ არის საჭირო	8	8	9	6
- არ ვიცი	7	10	5	8
- სულ	100	100	100	100

**წყარო:** ღია საზოგადოებრივი კვლევების ესტონეთის ინსტიტუტი, 2009

ზემოთ მოყვანილ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპონდენტები უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დამოუკიდებელ ზედამხედველობას. რესპონდენტების აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა ზემოთხსენებული ინსტიტუტების ზედამხედველობა საქართველოს სასამართლო სისტემაზე. რესპონდენტების 85-93%-ს მიაჩნია, რომ ზედამხედველობა მნიშვნელოვანია (უპასუხეს ”ნამდვილად საჭიროა” და “გარკვეულწილად საჭიროა”). თუ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ზედამხედველობა ამდენად მნიშვნელოვანია, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ციხეებში გარკვეულ პრობლემებს აქვს ადგილი. ზედამხედველობის ასეთი მხარდაჭერა ასევე იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ ციხეებში არსებული პრობლემები და მათ სერიოზულ პრობლემებად მიიჩნევენ.

ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ომბუდსმენის მიერ ციხეებზე ზედამხედველობის დამყარება ყველაზე მნიშვნელოვანია<sup>4</sup>. ომბუდსმენის ზედამხედველობა

<sup>4</sup> კვლევა 2009 წლის ივლისში ჩატარდა და შესაბამისად, რესპონდენტები საქართველოს მაშინდელ ომბუდსმენს გულისხმობდნენ.

მიზანშეწონილად მიჩნია ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს, როგორც ახალგაზრდებს, ასევე ხნიერებს, ქალებს, მამაკაცებს, ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობას. საქართველოს საზოგადოება უაღრესად ერთგვაროვანია ომბუდსმენის მიმართ დამოკიდებულებაში და მიაჩნიათ, რომ მის მიერ ციხეებზე ზედამხედველობა ძალიან მნიშვნელოვანია.


